472
2002


# ქუჯი

„... და მაშინ განიხარებს ყოველნი ქართველნი“

№32, ოთხშაბათი, 16 – 29 იანვარი, 2002 წელი

ფასი 40 თეთრი


* * *

ალბათ თვითონ ღმერთი ირჩევს – უცნაური რამეა,
ქრისტეშობა თითქმის მუდამ საოცარი ღამეა.
დეკემბერი დააჭენებს, ყინვით ნახატ ეტლებსა,
ამ ღამით ხომ წამებული ქრისტე იშვა ბეთლემსა,
მერე ზეცად აღევლინე, არ გიგუეს მიწაზე,
ნუთუ აღარ დაბრუნდები ცოდვილ დედამიწაზე?
ზეცად წასულს უკან მოგყვა ლოცვა – ცრემლის დამდენი,
ქვეყნად ერთი ქრისტე დარჩი და იუდა რამდენი.
ალბათ, მისთვის გაიაფდა ღალატი და გაცემა,
ფეხზე დგომა არის ძნელი – ადვილია დაცემა!
მეც დავრწმუნდი არ გამქრალა, ქვეყნად
შური და მტრობა,
მეც მომიწევს ლეონარდოს საიდუმლო სერობა
და წარსული სიზმრად მექცა, მომავალი ოცნებად.
მეგობარი ველარ მიცნობს, მნახავს და გაოცდება.
ქრისტეშობას, სხვა ჩემს გარდა, სევდას ვინ დაიბედებს
ძველი წელი ხსოვნას მართმევს, ახალი კი იმედებს.
ქრისტე აღსდგა! ქრისტე აღსდგა, ჩემი სული ცას უხმობს.
ჭეშმარიტად! – კვლავ იუდა ნიშნისგებით მპასუხობს,
თუმცა შუბლზე სამარცხვინო მინდა დაღი დავაკრა,
ჯვარს ვერ ვკადრებ, ქრისტეს მერე ზედ იუდა გავაკრა.
შერცხვენილი, წაწყმედილი, ეგდოს ქვეყნად, ეთრიოს,
ხოლო შენზე მრავალ მლოცველს კვლავაც ღამე ეთიოს.
რწმენა ძნელად გადარჩება, ხატი უფრო ადვილად,
ქრისტე აღსდგა ჭეშმარიტად, ქრისტე აღსდგა ნამდვილად!
07.01.92წელი

ზვიად გამსახურდია




- 327 -

**ბოლო შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ**
გვ. 2-4
დოკუმენტური მასალა

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიმართვა ქართველ ერს**
გვ. 3

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია აღიარებს და ინანიებს?!**
ინტერვიუ ბატონ ჯონდი ბაღათურიასთან
გვ. 6

**როგორ მომავალ წელს ისურვებდით?**
ჩვენს თანამემამულეთა პასუხები
გვ. 7

სახელმწიფო გადატრიალება

# ბოლო შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ

**ამა წლის 5 იანვარს, სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის ეგიდით ჩატარდა კონფერენცია. სიმბოლურია, რომ კონფერენცია მრგვალი მაგიდის ყოფილ შტაბ-ბინაში გაიმართა. დამსწრე პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოების ძირითად ბირთვს წარმოადგენდნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატები, პრეზიდიუმის წევრები, საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის წევრები სპიკერის, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ქალბატონ მანანა არჩვაძე-გამსახურდიას წინამძღოლობით.**

**განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, ალბათ, ისიცაა, რომ ერთმანეთის პირისპირ მრგვალი მაგიდის გარშემო ისხდნენ კანონიერი, ლეგიტიმური (დე-იურე) ხელისუფლების და არალეგიტიმური, არაკანონიერი (დე-ფაქტო) პარლამენტის წარმომადგენლები, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და პარტიების წარმომადგენლები. ისინი, ვინაც საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის მიერ შემუშავებული მემორანდუმი გაიზიარა და ხელი მოაწერა. კონფერენციაზე მოწვეულნი იყვნენ ჟურნალისტები.**

**კონფერენცია გახსნა ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტმა გიორგი კერვალიშვილმა, რომელმაც აღნიშნა:**

*„დღეს აქ შეკრებილთა საზოგადოება, ქართველი ერის მნიშვნელოვანი ნაწილი, აქ ბრძანდება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და მთავრობა, რომელსაც კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია, შეინარჩუნა პოლიტიკურად და ზნეობრივად არსებობა და დღესაც განაგრძობს ბრძოლას საბოლოო გამარჯვებამდე.*

*მეგობრებო, მივესალმოთ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მეუღლეს* **ქალბატონ მანანა არჩვაძე-გამსახურდიას**, *რომელიც აგრძელებს ბატონი ზვიადისა და ბატონი მერაბის გზას და უკომპრომისო ბრძოლას საქართველოს თავისუფლებისათვის.*

*დღევანდელი შეკრების მონაწილეებს მივესალმებიან* **ქალბატონი ოლღა დემურია-კოსტავა** *და პოლიტპატიმარი საქართველოს ჰელსინკის კავშირის წევრი* **ირაკლი დოკვაძე**. *აქ იმყოფება ირაკლი დოკვაძის დედა ქალბატონი ლეილა. მივესალმოთ, მეგობრებო.*

*ირაკლი დოკვაძე არის ჭეშმარიტი პოლიტპატიმარი, რომელიც არავითარ შეწყალება-შემორიგებაზე არ მიდის ხუნტასთან. ბატონი ირაკლი და ბატონი პეტრე ჩვენი ეპოქის გმირები არიან. უცხოეთის ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციები მოუწოდებენ ხუნტას დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს პოლიტპატიმრები.*

*და ბოლოს, საქართველოს მოსახლეობისათვის აუცილებელი პირობაა მშვიდობიანი ბრძოლის ფორმებით დავამარცხოთ შევარდნაძის ტერორისტული რეჟიმი. ვუსურვებ აქ შეკრებილ საზოგადოებას ნაყოფიერ მუშაობას."*

**შემდეგ დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა, საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის სპიკერმა ქალბატონმა მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ:**

„მოგესალმებით ყველას.

უპირველესად მინდა გაგაცნოთ განცხადება, რომელიც გამოგვიგზავნა პოლიტპატიმარმა, საქართველოს ჰელსინკის კავშირის წევრმა ირაკლი დოკვაძემ, ის დამსწრე საზოგადოებას ამცნობს საკუთარ პოზიციას და წარმოუდგენს იმ ზეწოლას, რომელსაც განიცდის:

## საპროტესტო განცხადება

„...მსურს საზოგადოების ყურადღება მივაპყრო იმ ზეწოლაზე, რომელსაც ადგილი აქვს ჩემთან მიმართებაში მმართველი რეჟიმის სხვადასხვა მოხელეთა მხრიდან, რაც მთლიანობაში კოორდინირებულია დიქტატორი შევარდნაძისაგან. პოლიტიკურ ნიადაგზე ჩემს მიმართ ანგარიშსწორება 1992 წლიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება. ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციები პერმანენტულად აძლევენ შეფასებას მმართველი რეჟიმის რეპრესიულ ქმედებებს ჩემსა და ლეგიტიმური ხელისუფლების მხარდამჭერი სხვა პოლიტიკური პარტიების მიმართ. აღნიშნული საერთაშორისო ზეწოლის შედეგად შევარდნაძის რეჟიმმა ვერ შეძლო ჩემი დახვრეტა, ხოლო 2001 წლის შემოდგომაზე უზენაესმა სასამართლომ 20 წლიანი პატიმრობის სანქცია შვიდწელიწადნახევრით შეამცირა. სადღეისოდ, სახეზეა ინტენსიური მცდელობები შეწყალების გზით ჩემი განთავისუფლებისა, რაც ინიღბება პარლამენტის ე.წ. თანხმობის კომისიის ინიციატივით. იმ ფონზე, როდესაც ათწლიანი პატიმრობის მანძილზე მასმედიის საშუალებით არაერთხელ განმიცხადებია, რომ არ ვცნობ შევარდნაძის დამნაშავე ხელისუფლებას და შესაბამისად, არავითარ შეწყალებას მისგან არ ვღებულობ, დღევანდელ ინიციატივას ჩემი ე.წ. შეწყალებისა, მივიჩნევ ბინძურ პროვოკაციად შორსმიმავალი მიზნებით. ნამდვილად გასაკვირია შევარდნაძის რეჟიმის "გაკეთილშობილება" და შეწყალების ინიციატივა მაშინ, როდესაც მიმდინარე წლის 18 იანვარს პირობით ვადამდე განთავისუფლება მეხება და თუ სურვილი მექნება, შემიძლია აღნიშნულით ვისარგებლო. თუმცა, ჩემთვის პირობით ვადამდე განთავისუფლებაც კი მიუღებელია, არამცთუ შეწყალება. ის, რომ მე შევარდნაძის სისხლიან ხუნტას არ ვცნობ, სრულიად ლოგიკურია და გამართლებული ჩემი რწმენისა და საქართველოს ჭეშმარიტი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას იდეებისადმი ერთგულებიდან გამომდინარე.

მაშინ, როდესაც შევარდნაძის ხელისუფლების სრულ იგნორირებას ახდენს აჭარის ავტონომიის მეთაური აბაშიძე, რომელსაც შევარდნაძისაგან შეწყალებული ასანიძე დღემდე პატიმრობაში ჰყავს, რატომ უკვირთ, როდესაც მე, პოლიტპატიმარი 1992 წლიდან, პროტესტს ვაცხადებ და არ ვღებულობ შევარდნაძის დამნაშავე რეჟიმისაგან არანაირ შეღავათსა თუ შეწყალებას.

პარლამენტის ე.წ. თანხმობის კომისია შექმნილია იმისათვის, რომ შევარდნაძის რეჟიმის ათწლიანი მმართველობის განმავლობაში ჩადენილი ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების შელამაზება და გაკეთილშობილება შეძლოს, რაც თავისთავად განწირულია ფიასკოსთვის. მე მსურს, გაუწყო პარლამენტის ე.წ. თანხმობის კომისიის წევრებს და განსაკუთრებით დეპუტატ მალლაფერიძეს, რომელმაც ხმამაღლა განაცხადა, რომ ჩემს შეწყალებაზე შუამდგომლობს, კატეგორიული წინააღმდეგი ვარ ყოველგვარი შეწყალებისა და ჩემს ნებას ვაფიქსირებ სრული პრინციპულობით. ადრეც აღვნიშნე და კვლავაც გავუმეორებ მმართველ რეჟიმს: მიეცით თქვენი შეწყალება მას, ვინც თქვენგან ასეთს ითხოვს, მე კი ჩემს რწმენასა და ღირსებას არანაირ თქვენს შეწყალებაში არასოდეს გავცვლი. თუმცა თქვენ, ალბათ, ამ ყველაფერს მაინც ვერ გაიგებთ, რამეთუ ფასეულობათა სხვა კრიტერიუმები გაგაჩნიათ."

პოლიტიკური პატიმარი, საქართველოს ჰელსინკის კავშირის წევრი,

ირაკლი დოკვაძე
4. 01. 2002.

**განცხადების წაკითხვის შემდგომ ქალბატონი მანანა არჩვაძე-გამსახურდია ვრცელი მოხსენებით გამოვიდა:**

„მე მსურს დაგაფიქსირო, თუ რა მოხდა საქართველოში 1991-1992 წლებში, ასევე მისი წინამორბედი პერიოდის მოკლე ექსკურსიც მინდა შემოგთავაზოთ, _ როგორ ეყრებოდა საფუძველი კანონიერი, ეროვნული ხელისუფლების გამარჯვებას. აუცილებელია ამის აღნიშვნა; 1989 წლის შემდგომი პერიოდიდან დავიწყებ, ვინაიდან დროში შეზღუდულები ვართ, 9 აპრილამდელი პერიოდის განხილვა კი დიდ დროს მოითხოვს, ამიტომ, თქვენის ნებართვით, მოკლე მონახაზებს გავაკეთებ. 1989 წლის 9 აპრილის შემდგომ მომხდარმა მოვლენებმა უმძიმესი პოლიტიკური მდგომარეობა შექმნა არა მარტო საქართველოში, არამედ მთლიანად საბჭოთა კავშირსა და უშუალოდ კრემლში. კრემლი დაცემის წინაშე იდგა, თუ როგორ შეიძლებოდა თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხის ნების ჩახშობა თქვენ კარგად მოგეხსენებათ თუ 9 აპრილს რა მსხვერპლი გაიღო ქართველმა ხალხმა, მაგრამ ეს მსხვერპლი გახდა თავისუფლების ტოლფასი. სწორედ ამ დღეს, 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ გამოაცხადა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენის დღე, ხელი მოეწერა დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს. ეს ორი თარიღი, ერთმანეთზეა გადაჯაჭვული, როგორც ის პიროვნებები, რომელთაც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში საკუთარი სიცოცხლე მსხვერპლად გაიღეს.



კრემლისთვის მომიტინგეთა მოთხოვნის ჩახშობა სისხლიანი გზით წამგებიანი აღმოჩნდა, როგორც თბილისში, ისე ვილნიუსში, ბაქოში, რიგაში და სხვა.

1989 წლის 9 აპრილმა იხსნა აღმოსავლეთი ევროპა მოსალოდნელი თავდასხმისაგან.

1990 წლის მარტში ქ. მოსკოვში ოფიციალური ვიზიტის დროს გამართულ ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტმა **ვაცლავ ჰაველმა** მადლობა გადაუხადა **ზვიად გამსახურდიას**, რომელიც მიწვეული იყო ამავე პრესკონფერენციაზე, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი. ჰაველმა აქ განაცხადა: *„9 აპრილის მოვლენებმა საქართველოში დააჩქარა იმპერიის დაშლა, ხელი შეუწყო არა მარტო სსრკ-ს შემადგენლობაში მყოფი რესპუბლიკების განთავისუფლებას, არამედ აღმოსავლეთ ევროპას, რის შემდგომ კრემლს უჭირდა გადაწყვეტა, გამოეყენებინა თუ არა ძალა ანალოგიურ შემთხვევაში, ხედავდა რა მსოფლიო საზოგადოების უკიდურესად მწვავე რეაქციას".*

სწორედ ამ მიზეზით დაიწყო შექმნა კრიმინალური ბანდებისა, რომელსაც საფუძვლად დაედო სამაშველო კორპუსის შექმნა. მის ოფიციალურ დაფუძნებას ხელი მოაწერა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **გურამ მგელაძემ**. სწორედ მისი და ე.შევარდნაძის უშუალო ხელმძღვანელობით ოფიციალურად გაფორმდა "მხედრიონი", რომელსაც სამაშველო სამუშაოების სანაცვლოდ, შეასრულებინეს ყველა კრიმინალური და ანტიეროვნული დავალება.

ასე დაიწყო ბრძოლა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ, იქმნებოდა "მხედრიონი" ყველა რაიონსა და ქალაქში, რომელმაც საბოლოოდ დამღუპველი შედეგები მოუტანა საქართველოს. "მხედრიონი" გახდა ერთადერთი დასაყრდენი ძალა მოსკოვის კრემლისა და შევარდნაძისათვის.

მე ჩამოგითვლით თუ სად და როგორ უპირისპირდებოდა "მხედრიონი" ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. "მხედრიონი" დაპირისპირებას აღვივებდა ქვემო ქართლში, შიდა ქართლში, კახეთში, სამაჩაბლოში, აფხაზეთის ტერიტორიაზე, თავად თბილისში; რუსთაველის გამზირზე, "იმელის" შენობის წინ მოხდა გასროლა, რასაც შემდეგ მოჰყვა მკვლელობა ამ შენობაში, სადაც ამჟამად ვიმყოფებით, **ავთანდილ მანაგაძისა**, რომელიც გამოეყო „მხედრიონს", არ დაემორჩილა **ჯაბა იოსელიანის** ბრძანებას ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაციის შესახებ და ამის საპასუხოდ, სიკვდილით დასაჯეს. ამის შემდგომ უკვე ღიად დაიწყო ბრძოლა ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ, რომელსაც სამართალდამცავი ორგანოები დასჯის ნაცვლად ხელს უწყობდნენ. „მხედრიონს" კავშირი ჰქონდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქთან, რომელიც ამარაგებდა იარაღით, ქმნიდნენ დესტაბილიზაციას, აწყობდნენ თავდასხმებს სახელმწიფო დაწესებულებებზე, ეწეოდნენ ადამიანთა გატაცებას ფულის გამოძალვის მიზნით. ყოველივე ამას, შორს გამიზნული გეგმა ჰქონდა, რაზედაც მოგახსენებთ. მსურს, წარმოგიდგინოთ დოკუმენტი და დაგისაბუთოთ, თუ 1990 წლის 17 სექტემბერს როგორ გაფორმდა ოფიციალურად „მხედრიონი" მაშველთა კორპუსის სახელით რეგისტრაციაში **გურამ მგელაძის** მიერ. ბრძანების ნომერი გახლავთ № 495. ამ დოკუმენტს მგელაძესთან ერთად ხელს აწერს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი **ზურაბ მახარაძე**. მინდა ასევე აღვნიშნო, რომ "მხედრიონი" ფინანსდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან და იმ მაფიოზური ძალებისაგან, რომელიც შეურიგებელი და მოწინააღმდეგე იყო ეროვნული მოძრაობისა. "მხედრიონს" აფინანსებდა და იარაღით ამარაგებდა "წითელი ინტელიგენციის" მიერ შექმნილი საზოგადოება "თბილისელი", რომლის თავკაცი გახლდათ **დავით ციციშვილი**, საქართველოს კულტურის ფონდის ხელმძღვანელი. ის 1989 წლის 14.VI-ში ატარებს დამფუძნებელ კონფერენციას, აქვეყნებს საზოგადოების წესდებას, ირჩევს საბჭოსა და გამგეობას. საპატიო თავმჯდომარეა ილია შიოლაშვილი, ხოლო საზოგადოება "თბილისელის" თავმჯდომარის მოადგილეებად **ჯანსუღ ჩარკვიანს, რეზო ამაშუკელს, დემურ მიქაძეს, ამირან კავკასიძეს** ირჩევენ. მე ახლა არ ჩამოვთვლი იმ ასეულობით ადამიანს, ვინც შემდგომ ავტომატით ხელში დაუპირისპირდა კანონიერ ხელისუფლებას, საქართველოს დამოუკიდებლობას. **სწორედ იმ ავტომატიან ინტელიგენციას მიესალმა ედუარდ შევარდნაძე თვითმფრინავის ტრაპიდან** და მადლობა გადაუხადა იარაღის ძალით კანონიერი ხელისუფლების დამხობის გამო.. საყურადღებოა საზოგადოება "თბილისელის" მიმართვა, გამოქვეყნებული გაზეთ "თბილისში" 1990 წლის 29 მარტს, რომელიც თავისი არსით ვითომ ჰუმანურია, საქმით კი ანტიეროვნული, მათ რამდენიმე ასეული ქართველი გააუბედურეს და საქართველოს დამოუკიდებლობას ტყვია ესროლეს, პოზიცია გაუმყარეს შევარდნაძეს... სწორედ მათგან დაიწყო დაყოფა მოსახლეობისა "თბილისელებად" და "სოფლელებად". საზოგადოება "თბილისელის" მიმართვა მიუღებელია ყველა ქართველისათვის, მიმართვა, ფაქტობრივად, მოსახლეობას ამზადებს შინააშლილობისათვის, ბრალს სდებს ეროვნულ მოძრაობას არარსებულ სიტუაციაზე, ხელს უწყობს დამკვიდრებას ტერმინ "თბილისელისა", რომელიც მიმართულია პროვინციებთან დაპირისპირებისაკენ. მე აღარ შევუდგები ამ ბინძური ტექსტის წაკითხვას. მით უმეტეს, ჩემს შემდგომ უამრავი გამომსვლელია.

უნდა აღვნიშნო, რომ პუტჩის ტრაგიკული მოვლენების დროს ასევე უარყოფითი როლი ითამაშა მასმედიამ. აქ მყოფ მასმედიის წარმომადგენლებს ნუ ვეწყინებათ, ვინაიდან ეს ფაქტია, ხელთა მაქვს უამრავი დოკუმენტი, მაშინდელი პრესა, აუდიო და ვიდეო ჩანაწერები. მასმედიის წარმომადგენლები, ნაცვლად იმისა, რომ დამდგარიყვნენ კანონიერი ხელისუფლების გვერდით, პირიქით, ხელს უწყობდნენ საზოგადოების დაპირისპირებას, პუტჩის დაწყებას. მიუხედავად იმისა, რომ მათთვის მიღებული იქნა კანონი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შესახებ, რომელიც მათ ხელს უწყობდა თავისუფლად ემოქმედათ. მაგრამ მოხდა საპირისპირო რამ _ მასმედიის წარმომადგენლებმა დაიკავეს ხუნტის მხარე, რითაც კიდევ უფრო დაამძიმეს სიტუაცია საქართველოში. რასაკვირველია, ისინი იმართებოდნენ მოსკოვიდან, ეს ნურავის ეწყინება და მე მზადა ვარ პირისპირ დავუმტკიცო მათ ყოველივე, რომ მათ საქმიანობას ხელმძღვანელობდა მოსკოვში დაბინავებული **რევკომი, ნუგზარ ფოფხაძის, გურამ მგელაძის და შევარდნაძის** სახით. შევარდნაძეს კავშირები ჰქონდა საგარეო საქმეთა სამინისტროსთან და უცხო სახელმწიფოთა საელჩოებთან, ავრცელებდა დეზინფორმაციებს კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ. ზვიად გამსახურდია, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი, შერაცხა "ეროვნული უმცირესობის მტრად", "ნაციონალისტად, "დიქტატორად". თითქოს იგი ავიწროებდა ეროვნულ უმცირესობებს და მოითხოვდა მათ გასახლებას. საქართველოს ანტისახელმწიფოებრივი ძალების აქტიურობით პრაღაში შეითხზა ცილისმწამებლური ოცდამეოთხე რეზოლუცია. ამ დოკუმენტით მოხდა წინასწარი შემზადება უცხო სახელმწიფოებისა მომავალი პუტჩისადმი, რათა გამართლებულად ჩაეთვალათ ზვიად გამსახურდიას, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და მთავრობის დამხობა. მინდა აღვნიშნო, რომ "თბილისელის" ბაზაზე შეიქმნა "მოქალაქეთა კავშირი." თუ გადავხედავთ საზოგადოება "თბილისელის" სიას, დავაფიქ-

გვ. 3

უზენაესი საბჭო

## საახალწლო მიმართვა ქართველ ერს, სრულიად საქართველოს მოსახლეობას

ძვირფასო თანამემამულენო! საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და მთავრობა გულითადად გილოცავთ შობა-ახალ წელს. 2002 წელი ყოფილიყოს თქვენთვის სიკეთისა და სიმართლის გამარჯვების მომტანი, საქართველოს დე იურე კანონიერი ეროვნული ხელისუფლების დე ფაქტოდ აღდგენის, საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გამარჯვების წელი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა, საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდა თქვენი თანადგომითა და მხარდაჭერით ყოველივეს ილონებენ თითოეული ჩვენგანისათვის ამ სანუკვარი მიზნის მისაღწევად.

საქართველოს რესპუბლიკის
უზენაესი საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე
ვ. ფხალაძე

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-
მინისტრი, საქართველოს პოლიტიკურ
პარტიათა და ორგანიზაციათა
მრგვალი მაგიდის სპიკერი
მ. არჩვაძე-გამსახურდია

## ინფორმაცია
### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის მორიგი სხდომის შესახებ

2002 წლის 12 იანვარს ქალაქ თბილისში ჩატარდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის მორიგი სხდომა.

დღის წესრიგში შეტანილი იყო შემდეგი საკითხები:

1. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგარეო ურთიერთობათა მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ნ. კილასონიას მოხსენება: „საქართველოში ეკონომიკური სიტუაციის მოკლე მიმოხილვა ბოლო სამი წლის განმავლობაში";
2. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგარეო ურთიერთობათა მუდმივი კომისიის თავმჯდომარის ა. ჟღენტის მოხსენება: „საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შესახებ";
3. სხვადასხვა.

კამათში მონაწილეობდნენ დეპუტატები: ზაურ კოსტავა, მიხეილ მაყაშვილი, ბიმურზა აფრასიძე, ტარიელ ფუტკარაძე, მერაბ საყვარელიძე, შალვა აბზიანიძე, ჯემალ იონათამიშვილი, ალექსანდრე ვარძელაშვილი, გურამ მაქაცარია, ლადო ცოფურაშვილი და სხვები.

სახელმწიფო გადატრიალება

# ბოლო შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ
## დოკუმენტური მასალა

სირებთ იმავე ხალხს, რომელიც მოქალაქეთა კავშირის წევრებად გვევლინებიან. უნდა აღვნიშნოთ, რომ ე.შევარდნაძე დღემდე "მხედრიონის" საპატიო წევრია. მაინტერესებს, ამ "დიდ პოლიტიკოსსა" და "დემოკრატს" რა კავშირი ჰქონდა კრიმინალურ-ტერორისტულ ბანდებთან? როდესაც ამცნეს, რომ მისთვის პოლიტიკურად წამგებიანი იყო "მხედრიონის" ლიდერთან და წევრებთან ურთიერთობა, საკუთარი სავარძლის შესანარჩუნებლად საზოგადოებისაგან მათი იზოლაცია მოახდინა. როდესაც დასჭირდა შევარდნაძეს, საპატიო "მხედრიონელები" ბანდიტებად გამოაცხადა (თუმცა დღესაც იგი საპატიო "მხედრიონელად" რჩება). ამჟამად "მხედრიონელთა" ნაწილი გათავისუფლებულია პატიმრობიდან, უმცირესობა კვლავ იხდის სასჯელს, რითაც ჯთოსულიანს "ამაგს უფასებს". თავის დროზე ქართველი ხალხი ჯერ კიდევ ვერ აცნობიერებდა, თუ რისი გაკეთება შეეძლო "მხედრიონს" და რა დანაშაულებები ჰქონდა ჩადენილი ერის წინაშე. ზვიად გამსახურდიამ, რომელსაც დოკუმენტურად ჰქონდა დაფიქსირებული მათი დანაშაულებრივი და ანტისახელმწიფოებრივი ქმედება, ისინი ამხილა; სწორედ ყოველივეს მხილების გამო მიიღო "მხედრიონმა" აქტიური მონაწილეობა პრეზიდენტის ლიკვიდაციაში სხვა მანქურთებთან ერთად, რაც ყველა დამნაშავეს შესაფერის ადგილს მიუჩენს საქართველოს ისტორიაში.

მიუხედავად "მხედრიონისა" და კრემლის დაპირისპირებისა, ეროვნული მოძრაობა კვლავ განაგრძობდა ბრძოლას, შეიქმნა "მრგვალი მაგიდა", რომელსაც ჰქონდა თავისი სამოქმედო პროგრამა. სწორედ ამ დარბაზში იქნა არჩეული ზვიად გამსახურდია "მრგვალი მაგიდის" სპიკერად, აქ წარმართავდა სხდომებს, სახავდა გეგმებს საქართველოს განთავისუფლებისა. ამ დარბაზში ჩაეყარა საფუძველი 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებს. სანამ უშუალოდ არჩევნებზე ვისაუბრებდე, მინდა გაუწყოთ, თუ როგორ წინააღმდეგობას უწევდა "მრგვალ მაგიდას" კომუნისტური პარტია, რის გამოც ზვიად გამსახურდიამ მიმართა პროტესტის უკიდურეს ფორმას 1990 წლის ივნისის თვეში, ქალაქ სამტრედიაში გადაიკეტა სარკინიგზო კვანძი. ამ აქციის დროს გადაიკეტა სარკინიგზო მაგისტრალები არა მარტო საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ მთლიანად კავკასიასა და სტავროპოლის მხარეში. კრემლს სხვა გზა აღარ ჰქონდა, მე ვარ უშუალო მოწმე თუ როგორ დაუკავშირდა (შინ დაურეკა) ზვიად გამსახურდიას სსრკ-ს შინაგან საქმეთა მინისტრი ბაკატინი, რომელმაც განუცხადა, რომ აქციის მონაწილეთა მოთხოვნას განიხილავდნენ პოლიტბიუროს სხდომაზე და შესაბამისი დასკვნების შედეგად პრობლემა გადაწყდებოდა. ორ დღეში კომუნისტებმა თანხმობა განაცხადეს მრავალპარტიული არჩევნების დანიშვნაზე, მხარი დაუჭირეს "მრგვალი მაგიდის" საარჩევნო კანონს, რის შემდეგაც აქცია მოიხსნა სამტრედიაში. ფაქტობრივად,

სამტრედიის აქციით "მრგვალი მაგიდის" ლიდერმა და მასში შემავალმა პოლიტიკურმა ძალებმა კომუნისტებზე გამარჯვებას მიაღწიეს. რის შემდგომაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიამ დაამტკიცა საარჩევნო კანონი, დანიშნა დღე არჩევნების ჩასატარებლად. მინდა ჩემს ოპონენტებს განვუცხადო, რომ ეს არ იყო კომუნისტების მიერ დანიშნულ არჩევნებში მონაწილეობის მიღება, ამ ჭორებს ავრცელებენ პუტჩისტები, რომელთაც სურთ შელახონ ეროვნულ-



განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიული გამარჯვება კომუნისტებზე. მრგვალ მაგიდას ჰქონდა თავისი წესდება, საარჩევნო კანონი, ეკონომიკური და პოლიტიკური პლატფორმა. არჩევნებში, თანასწორობის საფუძველზე, მიიღო მონაწილეობა როგორც "მრგვალმა მაგიდამ", ისე კომუნისტებმაც, სხვა პარტიებმა და პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა. რაც მთავარია, ზვიად გამსახურდიამ შექმნა ცენტრალური საარჩევნო კომისია, რომელიც სახელმწიფო სტრუქტურებს არ ექვემდებარებოდა. ამ კომისიაში ყველა პარტიას თავისი წარმომადგენელი ჰყავდა, პარიტეტულ საწყისებზე არჩევნებში მონაწილე პარტიების თითო წარმომადგენლით. ახალი საარჩევნო კანონით არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური ორგანიზაციები რეგისტრაციას გადიოდნენ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, რომლის თავმჯდომარე გახლდათ კომუნისტი ირაკლი შორდანია. "მრგვალმა მაგიდამ" აღიარებინა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პირველ მდივანს გივი გუმბარიძეს და უმაღლეს საბჭოს 1990 წლის 20 აგვისტოს, რომ საქართველო იყო ოკუპირებული და ანექსირებული რუსეთის იმპერიის მო-

ერ 1921 წელს და ეს ანექსია გრძელდებოდა სამოცდაათი წლის მანძილზე. თავად ოკუპანტის მიერ ამის აღიარება უკვე ნიშნავდა თვითლიკვიდაციას კომუნისტური პარტიისა. ასეთი ბრძოლით მოვედით არჩევნებამდე, რომელიც ჩატარდა 1990 წლის 28 ოქტომბერს, სადაც უდიდესი გამარჯვება მოიპოვა საარჩევნო ბლოკმა "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო" ზვიად გამსახურდიას წინამძღოლობით. იმავე წლის 14 ნოემბერს ჩატარდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესია. სესიამ საფუძველი დაუდო კომუნისტური სტრუქტურების დემონტაჟს. პირველივე დღიდან მოხდა სახელმწიფო ატრიბუტიკის შეცვლა, საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკას ეწოდა საქართველოს რესპუბლიკა, შეიცვალა გერბი, დროშა, ჰიმნი. ამის შემდგომ დაიწყო აღმშენებლობა ქრისტიანულ-დემოკრატიული რესპუბლიკისა, რომელსაც მიზნად ჰქონდა საქართველოში შეექმნა ისეთი პოლიტიკური და ეკონომიკური ბაზისი, რომელიც ყველა ქვეყნისათვის სამაგალითო იქნებოდა. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა.

უპირველესი დოკუმენტი, რომელიც მინდა წარმოგიდგინოთ, გახლავთ ფოტომასალა უნივერსიტეტისა და ტელევიზიის საფეხურებზე მეამბოხე "ინტელიგენტების" დასხდომისა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასა და კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ. ლანა ღოღობერიძის განაცხადი, თუ როგორ მივიდნენ მასთან ზურაბ ჟვანია და კახა ჩიტაია და სთხოვეს დამჯდარიყო უნივერსიტეტის საფეხურებზე (გაზეთი "ზვიადის გზა", № 27, 1999 წელი. პუბლიკაცია მოხმობილია გაზეთ "ასავალ-დასავალიდან", №222). ლანა ღოღობერიძე: "კარგი-მეთქი, ვუთხარი და მაშინვე დავთანხმდი". რასაკვირველია, ლევან ღოღობერიძის შვილი უსიტყვოდ დათანხმდებოდა. მისთვის საქართველოს დამოუკიდებლობა ისევე უცხო გახლდათ, როგორც ჩემთვის ჩინეთის მოქალაქეობა.

ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ ცილისმწამებლური კამპანია გრძელდება. მას ქართველი "მწერლებიც" უერთდებიან. შევარდნაძისაგან მიღებული დირექტივა მიზნად ისახავს ქართველი შემოქმედებითი სფეროს წარმომადგენლების საპროტესტო განცხადებით მიმართვას საერთაშორისო პენ-კლუბისადმი, რათა დაარწმუნონ საერთაშორისო პენ-კლუბის პრეზიდენტი ბატონი დ. კონრადი, საერთაშორისო პენ-კლუბის გენერალური მდივანი ბატონი ა. ბლოკი, რომ "ქართველ მწერალთა ერთგულება დემოკრატიული იდეალებისადმი სასტიკ დევნას განიცდის, ჩვენთვის ერთობ მნიშვნელოვანია ვიყოთ მსოფლიოს მწერალთა ოჯახში, რომელსაც დიდი საერთაშორისო გავლენა აქვს." (1991.19.10). საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ "დევნილი მწერლები" მსოფლიოს მწერლებს გულისამაჩუყებელი ტექსტით მიმართავენ, რომ საქართველოში დემოკრატიის იდეალები სასტიკ დევნას განიცდის, კრიტიკა, "დევნა", თავისუფალი შემოქმედების აკრძალვა, ცენზურა, შეუძლებელს ხდის მწერლის შემოქმედების განვითარებას, რაც "აიძულებს" საქართველოს "23 გამორჩეულ მწერალს" დასტამბონ წლების მანძილზე შექმნილი "შედევრები".

ათი წელი გავიდა კანონიერი ხელისუფლების დამხობიდან, მსურს გაგაცნოთ ჩემს ხელთ არსებული ეს დოკუმენტი და შეკითხვით მივმართო დამსმენ-დემოკრატ მწერლებს. რა შექმნეს ამ პერიოდში, სად გამოქვეყნდა, რა ფასეულობა შესძინეს ქართულ ლიტერატურას?

ნება მიბოძეთ, გაგაცნოთ შევარდნაძის დაარსებული საქართველოს პენ-ცენტრის წარმომადგენლები: ჭაბუა ამირეჯიბი, ჯანსუღ ჩარკვიანი, ვაჟა გიგაშვილი, არჩილ სულაკაური, ჯემალ ქარჩხაძე, ლაშა თაბუკაშვილი, გურამ გეგეშიძე, გურამ ფანჯიკიძე, კობა იმედაშვილი, რეზო ამაშუკელი, რომან მიმინოშვილი, გრიგოლ აბაშიძე, დათო მაღრაძე, მორის ფოცხიშვილი, გიგი სულაკაური, ირაკლი სამსონაძე, ნუგზარ შატაიძე, თამაზ კვაჭანტირაძე, აკაკი ვასაძე, გურამ დოჩანაშვილი, ირაკლი აბაშიძე, თენგიზ ბუაჩიძე, თამაზ წივწივაძე.

საქართველოს რესპუბლიკის უზე-


To the president of International PEN-club
Mr. D.Conrad.
To the General Secretary of International PEN-club
Mr. A.Blok.
[illegible]

ნაეს საბჭოს მოეპოვება უამრავი დოკუმენტური მასალა, თუ როგორ მიმდინარეობდა უნივერსიტეტსა და ტელევიზიასთან აქციები, ვინ ებრძოდა ეროვნულ ხელისუფლებას, მაგრამ დღეს თავს ვიკავებთ, ისევ ქართველი ერისადმი უდიდესი პატივისცემის გამო, და დღევანდელი ჩვენი შეხვედრაც იმას უნდა ემსახურებოდეს, რომ გამოსავალი ვეძებოთ. მზად ვარ მივუტევო იმათ, ვინც შეუგნებლად, შესაძლოა გაუაზრებლად, ჩაიდინა დანაშაული, მზად ვარ ბევრ დანაშაულზე თვალი დავხუჭო. მაგრამ წარსული უნდა გვახსოვდეს...

მინდა დავაფიქსირო პუტჩისტების გამონათქვამები, კერძოდ კიტოვანისა, რომელმაც განაცხადა და სიამაყით აღნიშნა ოფიციალურ დოკუმენტში, რომ მან დაამხო დიქტატორული რეჟიმი: "1992 წლის 2 იანვარს, პრეზიდენტ გამსახურდიას უზურპირებული ხელისუფლება დამხობილია". ასე გვაუწყებს ორი "დიდი ქართველი" კიტოვანი და იოსელიანი ამ უბედურებას. (იხ.გაზ., სამშობლო", №1-2, 1992 წლის იანვარი). წარმოიდგინეთ, როგორ გამოიყურება ეს ფრაზა დღევანდელი გადასახედიდან,.. ნუთუ დღესაც ასევე ამართლებენ ერის წინაშე ჩადენილ დანაშაულს? მათ მოღალატის გარდა სხვა შეფასება არ ეკუთვნით.

რაც შეეხება იმ საკითხს, თუ ვინ გაისროლა პირველი ტყვია, ხელთ მაქვს უამრავი დოკუმენტი, – ვინც სავარძელი დაისაკუთრა, მანვე გაისროლა პირველმა.

წარმოგიდგენთ დოკუმენტს, რომლის

გვ. 4

## სახელმწიფო გადატრიალება

მსგავსი, ალბათ, არც შექმნილა მსოფლიო ისტორიაში:

*„საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილება:*

*საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის აპარატის შეწყვეტასთან დაკავშირებით, სალიკვიდაციო კომისიის შექმნის შესახებ* (ნუ დაგავიწყდებათ, რომ ორმა კაცმა გააკეთა ეს. მანანა არჩვაძე არასოდეს აჭარბებს, მარტო ამხელს მათ). *1992 წლის 2 იანვრიდან, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის აპარატის შეწყვეტასთან დაკავშირებით: საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ადგენს:*

*1) საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის აპარატის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით მოიშალოს ამ აპარატისა და მის ნომენკლატურაში ყველა მუშაკთან დადებული შრომითი ხელშეკრულება;*

2) საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის აპარატთან დაკავშირებით შეიქმნას სალიკვიდაციო კომისია. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამდივნოს უფროსის **ჰამლეტ ჭიპაშვილის** თავმჯდომარეობით.

3) დაევალოს სალიკვიდაციო კომისიას გაუქმებული აპარატის მუშაკებთან საბოლოო ანგარიშსწორება განახორციელოს საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების შესაბამისად;

4) სალიკვიდაციო კომისიამ მუშაობა დაამთავროს ორი თვის ვადაში, დღიდან შექმნისა.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი **თ.სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სახელმწიფო კანცელარიის მმართველის მოვალეობის შემსრულებელი **ბ. ბერიძე**

თბილისი, 1992 წლის 17 აპრილი

(გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", 18 აპრილი, 1992 წელი)

ასე გამოიყურებოდა სამარცხვინო ოთხკაციან სახელმწიფო მმართველთა ფიქცია.

თქვენ კარგად მოგეხსენებათ, თუ რას ისახავდა მიზნად **ეს ანგარიშსწორება** და როგორ განხორციელდა ყოველივე ეს. მაინტერესებს, ყოველივე ამას რომელი კანონმდებლობა ითვალისწინებდა? ეს არის დოკუმენტი, რომელმაც შემდგომში ხელ-ფეხი გაუხსნა საქართველოში ტრაგიკულ მოვლენებს. კიტოვანი ბრძანებს, ჩემი დაპირისპირება პრეზიდენტთან დაიწყო მაშინ, როცა 1991 წლის აგვისტოს მოსკოვის მოვლენების შემდგომ მხარი დაუჭირა პრეზიდენტმა პუტჩისტებსო. ეს არის სიცრუე, ხოლო თენგიზ სიგუა გვპირდება იანაევის ოქმს, რომელიც ხელში ვერავინ ჩაიგდო, რადგან ეს ოქმი არ არსებობს.

მე წაგიკითხავთ კანონს, რომელიც მიღებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე 1990 წლის 15 ნოემბერს და ხმა მისცა "დეპუტატმა" კიტოვანმა. 'საქართველოს რესპუბლიკის კანონი № 375. საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების, ეროვნული გვარ-

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1) საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეიქმნას შინაგანი ჯარების ეროვნული გვარდია;

2) შინაგანი ჯარების, ეროვნული გვარდიის ხელმძღვანელობისათვის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ჩამოყალიბდეს მთავარი სამმართველო, რომლის უფროსი იმავდროულად იქნება შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე;

3) შინაგან ჯარებს, ეროვნულ გვარდიას, მეთაურობს სარდალი, რომელსაც ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

კანონი შედგება ცხრა პუნქტისაგან და ძალა-

მაშასადამე, საქართველოს დამოუკიდებლად ეროვნული გვარდია კი არ ჰყავდა, როგორც იტყუებოდა შემდგომ კიტოვანი, არამედ ეს გახლდათ ეროვნული გვარდია, რომელიც ექვემდებარებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს. ასე რომ კიტოვანიცა და სიგუაც ცრუობენ. იმ დროს ჯერ კიდევ კონსტიტუციაში ცვლილებები არ იყო, არც საქართველო იყო დამოუკიდებელი, არც გვქონდა უფლება შეგვექმნა საკუთარი არმია. ზვიად გამსახურდიამ შექმნა გვარდია, მაგრამ ის დაუქვემდებარა შინაგან საქმეთა სამინისტროს. ეს იყო ფორმალური მხარე და არავითარი უფლებები არ იყო შელახული, მაგრამ სიგუას და კიტოვანს 1991 წლის აგვისტოში გაახსენდათ, როდესაც დირექტივა მიიღეს დაუსაბუთებელი ამბოხის მოწყობის თაობაზე. მე ხელთ მაქვს გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა", სადაც აღნიშნულ ბრძანებაზე თავად კიტოვანი აწერს ხელს (იხ. გაზეთი"საქართველოს რესპუბლიკა", №104-105. 25.05.1991წ.).

**1991 წლის 26 მაისს, 22 საათზე ქ.თბილისში, ბორის პაიჭაძის ეროვნულ სტადიონზე გაიმართოს საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების ეროვნული გვარდიის აღლუმი.** კიტოვანი რასაც იმსახურებს, ყველამ კარგად იცის, ის არის მოღალატე, რომელმაც სხვებთან ერთად "ღირსეულად" დაიმკვიდრა ეს სახელი.

მინდა, შევეხო 1991 წლის 20 აგვისტოს მოსკოვის პუტჩს: მსოფლიოს სახელმწიფოთა ხელმძღვანელებმა სხვანაირად აღიქვეს ეს პროცესი, ზვიად გამსახურდიამ რეალურად შეაფასა სიტუაცია, რომ ეს არ

# ბოლო შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ

## დოკუმენტური მასალა

იყო პუტჩი, ეს იყო მიზანმიმართული ქმედება, ეხსნათ საბჭოთა კავშირი დაშლისაგან, მხოლოდ სახელი გადაერქმიათ დსთ-დ. ზვიად გამსახურდიამ 1991 წლის 20 აგვისტოს პუტჩი შეაფასა "რეაქციული ძალების გამარჯვებად" და მოუწოდა დასავლეთის სახელმწიფოთა მეთაურებს დაეცვათ ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტები და პარლამენტები. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პრეზიდენტის მიერ დაგმობილ იქნა ყველა სახელმწიფოში ხელისუფლების ძალადობით დამხობა". აქვე მინდა შევეხო უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებს, რადგან ეროვნული უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციებმა მოსკოვში 1991 წლის 11 სექტემბერს, კონფერენციაზე, რომელიც ეძღვნებოდა მოსკოვის პუტჩს, დაგმეს ყოველგვარი სახელმწიფო გადატრიალება ნებისმიერ ქვეყანაში. საქართველოში კანონიერი ხელისუფლების დამხობას როგორ გამოეხმაურნენ ეს ყველასათვის ცნობილია. ხელთ მაქვს დოკუმენტი — Московский журнал международного права, 1992 წლის №2. აქ აღნიშნულია, რომ ყველა ქვეყნებმა უნდა შეაფასონ და დაგმონ ძალადობის გზით ხელისუფლების დამხობა. მაგრამ საქართველოსთან მიმართებაში კონფერენციის დადგენილება უგულებელყოფილ იქნა. ზემოთ ხსენებულ კონფერენციაში მონაწილეობდა ყველა სახელმწიფოს წარმომადგენელი, მათი სურვილით საქართველო მათთვის მისაღებ ერთიან მსოფლიო წესრიგზე უნდა გადასულიყო, მაგრამ ავიწყდებათ, რომ ეს არის კავკასია, საქართველო სულ სხვა გენების ქვეყანაა, კავკასია მათთვის მისაღები გეგმით ვერასოდეს ივლის. ჩვენ სხვა გენეტიკის ერი ვართ, დაუმორჩილებელი, რომელიც ფიზიკურად შეიძლება შეეწიროს, მაგრამ საკუთარ მიწას და თავისუფლებას არ დათმობს.

კიდევ ერთ დოკუმენტზე მინდა შევჩერდე. ეს გახლავთ ყალბი დოკუმენტი, ყალბი ხელმოწერითა და ყალბი ტექსტით. ლაპარაკია ე.წ. **„საქართველოს მტრების"** სიაზე. თითქოს ზვიად გამსახურდიამ და მისმა კანცელარიამ არ იცის, როგორ უნდა გამოიყურებოდეს ოფიციალური დოკუმენტი. ტიტულოვან ფურცელზე დასმული არაა ბეჭედი, არასწორადაა გამართული მიმართვა, ცუდადაა მიმსგავსებული ხელმოწერა (კომპიუტერით მაინც გაეკეთებინათ ცრუ ხელმოწერა). ახლა შინაარსსაც შევხედოთ: დოკუმენტი თითქოს მიმართულია ვიცე-პრეზიდენტის **ვ.ი. იანაევისადმი** და თითქოს გაგზავნილია ნდობით აღჭურვილ პირების **რ. გოგლიძისა** და **მ. ომანიძის** ხელით, წარმოგიდგენთ საქართველოს მტრების სიას. შემდეგ ჩამოთვლილია გვარები, ამ ჩამონათვალში დაშვებულია უამრავი შეცდომა. თითქოს ზვიად გამსახურდიამ არ იცოდა, დასახელებულ პირთა სახელები ან გვარები. მაგალითად, შევარდნაძე უსახელოდაა ნახსენები, მგელაძის სახელიც არ სცოდნია, ფოფხაძისა და სიგუასიც, ზურაბ წერეთლის სახელის ინიციალია მხოლოდ. უსახელოდაა კიტოვანი, ხოშტარია, ადამია, პაატაშვილი, ქაშაყაშვილი, პატიაშვილი, გუმბარიძე, მაგრამ ასათიანი კ. და ასათიანი ა., ჩხეიძე რ. და ჩხეიძე თ., შემდეგ ვიღაც ბაქრაძე (როგორც ჩანს, აკაკი ბაქრაძე), კახიძე უსახელოდ, ყანჩელი უსახელოდ, ისაკაძე, ბუაჩიძე, ნათაძე უსახელოდ, ქანტურია უსახელოდ, შენგელია ელდარი, შენგელაიას ნაცვლად, და მეორე შენგელია უსახელოდ, ამირეჯიბის, ქვლითაიას სახელი არ სცოდნია, ბერიძისა, ამაშუკელის სახელის ინიციალია მითითებული, აბაშიძე ირაკლისა, ხოლო ხატიაშვილისა და ადვაძისა არ სცოდნია. აი ამ ცრუ დოკუმენტს ავრცელებდნენ ქალაქში, მთელ მსოფლიოსაც მოსდეს, რომ ზვიად გამსახურდიამ უცხო სახელმწიფოს მოქალაქესა და პუტჩის მომწყობ იანაევს მოსთხოვა, ეს ხალხი თუ შეიძლება თქვენ დამისაჯეთო. თითქოს ზვიად გამსახურდიას საქართველოში იმის პირობები არ ჰქონდა, რომ სურვილის შემთხვევაში ისინი თავად დაესაჯა.

მერყე

რა რომ ყალბია. მთავარია, რომ შექმნეს. მე ბრალს ვდებ მასმედიას, მასმედიამ გაავრცელა ეს დოკუმენტი და ზოგჯერ დღესაც კი ახსენებენ მას.

მინდა ასევე ერთ მნიშვნელოვან საკითხზე ვისაუბრო. ვინ გაისროლა პირველი ტყვია 1991 წლის 22 დეკემბერს. მე რომ არ გამისვრია და ჩემს დას, ეს ყველამ კარგად იცის. პუტჩისტები ცდილობენ დაამკვიდრონ აზრი, თითქოს ლელე არჩვაძის ბრძანებით გაისროლეს პირველი ტყვია. ეს ხომ სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. გამოდის რომ ზვიად გამსახურდია არ ყოფილა მთავარსარდალი და, რაც მთავარია, გამოდის, რომ მე და ლელეს იმისთვის დაგვიმხია ხელისუფლება, რომ შევარდნაძე ჩამოგვეყვანა მოსკოვიდან, საკუთარი თავი საქართველოდან გაგვეძევებინა, საქართველო გაეძარცვათ და გადაეწვათ კოლხური კოშკი, მოეკლათ ზვიად გამსახურდია, გაეყიდათ საქართველო, მაშინ ჩვენ შევარდნაძისაგან ძალიან დაფასებული ხალხი უნდა ვიყოთ, მაგრამ სიცრუეს მოკლე ფეხი აქვს და თავისივე სიცრუეში ისე გაიხლართნენ, რომ ვერავინ იხსნით. ამიტომ დროულად უნდა აღვადგინოთ კანონიერი ხელისუფლება, ყველას თა-



ვისი ადგილი ექნება და ყველას თავისი სახელი დაერქმევა.

გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში" (2001 წ. 23 მარტს) დაიბეჭდა სატელევიზიო გამოსვლის ფრაგმენტი, რომელიც ადრე ტელევიზიით გადაიცა 2000 წლის 27 სექტემბერს. პირდაპირ ეთერში გამოდიოდნენ შევარდნაძე, არმაზ სანებლიძე და ბათიაშვილი, სადაც შევარდნაძემ განაცხადა: *„აფხაზეთის ტერიტორია საქართველომ იმიტომ "დაკარგა", რომ საქართველოს 1993 წელს არ ჰყავდა ხელისუფლება, არ ჰყავდა მთავარსარდალი და არ გვქონდა შესაძლებლობა დაგვეცვა აფხაზეთის ტერიტორია. საქართველოს მართავდა "ოთხეული".*

როგორც ჩანს, გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკის" რედაქტორმა ჩათვალა, რომ კარგი საქმე გაუკეთა შევარდნაძეს (თუმცა ვიდეო ჩანაწერიც არსებობს). მე მინდა მათ შეკითხვით მივმართო: **როდესაც აცხადებს შევარდნაძე, რომ 1993 წელს ქვეყანას "ოთხეული" მართავდა, 1992 წლის 11 ოქტომბერს "იმედის არჩევნების" სახელით ისტორიაში შესული ცრუ არჩევნების 250 ე.წ. დეპუტატი სად გადაყარა?** შევარდნაძე ხომ თავად აღიარებს იმდროინდელ სიტუაციას, რაც თავისთავად მკითხველისა და მსმენელისათვის გასაგებს ხდის, რომ საქართველოში არავითარი არჩევნები არ ჩატარებულა, კვლავ ხუნტა მძვინვარებდა. რაც შეეხება კითხვას, რომ შევარდნაძემ უცხო ჯარი შემოიყვანა საქართველოს ტერიტორიაზე, ხელთა მაქვს დოკუმენტები, სადაც აღნიშნულია ის სამხედრო ნაწილები და მათი აღჭურვილობა, რომლის ჩამოთვლას აქ არ შევუდგები, მაგრამ მითითებული დოკუმენტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ამ სამხედრო პერსონალით მთელი კავკასიის აღება შეიძლებოდა, არამცთუ საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობა. რაც შეეხება თავად **ბალტინის** ჯარების შემოსვლას, ბალტინმა მაშინ ორი მილიარდი მანეთი მიიღო შევარდნაძისაგან. **პატრიკეევი** კი გაიწვიეს საქართველოდან, რათა **როდიონოვის** სცენარი არ განმეორებულიყო — შემოიყვანეს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარები **ბეპაევის** სარდლობით. მათ უნდოდათ ისე წარმოჩენილიყო, თითქოს ქართველები ებრძოდნენ ერთმანეთს და კავკასიელი ბეპაევი ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქს. სინამდვილეში რუსის ჯარი შემოყვანილი იქნა შევარდნაძის თხოვნით ელცინის ბრძანებით. ამის შესახებ თავად ზვიად გამსახურდია აღნიშნავს ელცინისადმი გაგზავნილ მიმართვაში. შევარდნაძემ კი 1992 წლის 7 მარტიდან, როგორც კი ფეხი დადგა აეროპორტში, მაშინვე განაცხადა, რომ რუსის ჯარი არ უნდა გასულიყო საქართველოდან. მას დიდი იმედი ჰქონდა რუსის ჯარისა, ურომლისოდაც ხელისუფლებას ერთი საათითაც ვერ შეინარჩუნებდა. ბალტინის ჯარების ჩამოსვლასთან დაკავშირებით, შევარდნაძესთან ერთად მონაწილეობდნენ მოსკოვის შავბნელი ძალები **ვალერიან ადვაძის, ზურაბ წერეთლის, გურამ მგელაძის, შოთა გორგოძის** "მხიურის" წარმომადგენლებისა და სხვათა სახით, რომელთა ვინაობა მთელმა საქართველომ იცის.

მე არ შემიძლია არ აღვნიშნო კავშირი პუტჩისტებსა და ეკლესიას შორის. შეიძლება ვინმეს არ ესიამოვნოს, მაგრამ ამის აღიარება აუცილებელია. ზვიად გამსახურდიამ რამდენიმეჯერ მიმართა ილია მეორეს, რათა ეკლესია და ხელისუფლება ერთად დამდგარიყვნენ და აღეკვეთათ შეამბოხეთა გამოსვლა, მაგრამ კარგად მოგეხსენებათ, როგორც ჩაერია, მან თავი მოიავადმყოფა. რამდენჯერმე გაიგზავნა მასთან დელეგაცია, მაგრამ ამაოდ. შემდგომში დამნაშავეთა ოთხეულს მხარი დაუმშვენა და სვეტიცხოველში აკურთხა მათი ანტიქართული ქმედება. ნეტავ რას შეჰღაღადებდა უფალს — პუტჩისტების ხანგრძლივ სიცოცხლეს თუ საქართველოს სამუდამოდ დაღუპვას? რაც დღეს სახეზეა. თბილისის ტაძრები — ქვაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, ისევე როგორც წმინდა პანტელეიმონის ეკლესია — იარაღით იყო სავსე. მე უშუალო მოწმე ვარ, თუ როგორ შეიტანეს კუბოებით იარაღი ტაძარში. ეს არ იყო დაკრძალვის დღე, ამიტომაც დაეჭვდნენ ტაძრის ეზოში მყოფნი, და მხოლოდ მაშინ მიხვდნენ რაშიც იყო საქმე, როდესაც აწყობილი ნაღმტყორცნები იხილეს, კოლხური კოშკის მიმართულებით დამონტაჟებული. რადგან ზვიად გამსახურდია დაუმორჩილებლობას აცხადებდა, კაპიტულაციაზე არ მიდიოდა, ამიტომაც ზემოქმედება უნდა მოეხდინათ ან ჩვენი მძევლად აყვანით ან ფიზიკური განადგურებით (ამაზე "დიდ მადლობას" მოვახსენებ ქართული დედა-ეკლესიის მესვეურებს).

ახლა მინდა გაგაცნოთ გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა", სადაც **ვახტანგ რაზმაძე** აღნიშნავს, რომ თბილისში კანონიერი ხელისუფლების დასამხობად გაათავისუფლეს ოთხიათას ხუთასი კრიმინალი. (უკმაყოფილების თავიდან აცილების მიზნით ყველანი ამნისტირებულნი იყვნენ), რასაც თავად ვახტანგ რაზმაძე აღნიშნავს: "ამნისტია მათ მიმართ ჰუმანური აქტია". ამის შემდგომ უკვე ე.წ. გენერალური პროკურორი მიმართავს გაეროს ქვეყნებს, მიხედონ ზვიად გამსახურდიას, როგორც დამნაშავეს. წარმოიდგინეთ მისი განათლების დონე, ე.წ. პროკურორმა ისიც არ იცის, გაეროს რა ევალება. რაზმაძე აცხადებს, რომ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე ზვიად გამსახურდიასა და ზოგიერთი პირის მიმართ 1991 წლის 24 დეკემბრიდან. ეს არის სრულიად საქართველოს ტრაგედია. თავად დამნაშავე და კრიმინალი რაზმა-

გვ. 5

# ბოლო შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ

## დოკუმენტური მასალა

ძე ზვიად გამსახურდიას როგორ სწამებს ცილს; ჩემი აზრით, ეს სრულიად საქართველოს შეურაცხყოფაა. ჩემთვის ძალიან უსიამოვნოა გასახსენებლად, თუ როგორ დავტოვეთ თბილისი 1992 წ. 6 იანვარს. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის გეგმით, ჯერ უნდა ჩავსულიყავით ქუთაისში, ხოლო შემდგომ ზუგდიდში, სადაც გაგრძელდებოდა ხუნტისადმი დაუმორჩილებლობა, მაგრამ მავანთა წყალობით, აღმოვჩნდით სომხეთში, იჯევანის პანსიონატში, სადაც ცხრა დღე დავყავით. იქ ყოველდღიურად ჩამოდიოდნენ შევარდნაძის დავალებით ძმები შენგელაიები, ძმები ხაინდრავები, რეზო ესაძე, რეზო ყიფიანი, გიგა ლორთქიფანიძე, ალექსანდრე კავსაძე, გივი კვანტალიანი და სხვ. ისინი მოითხოვდნენ ზვიად გამსახურდიას გადაცემას, წინააღმდეგ შემთხვევაში კატეგორიული ზომების გატარებას მოითხოვდნენ სომხეთის მთავრობისაგან. ამაში რაც იგულისხმებოდა, ნათლად გამოჩნდა 1993 წელს დეკემბრის ბოლოს. ვახტანგ რაზმაძე ასევე მიმართავდა ჯოჰარ დუდაევს, რათა მას გადაეცა ხუნტისთვის ზვიად გამსახურდია, რომელიც იმხილებოდა თაღლითობაში, კონტრაბანდული ოპერაციების ჩატარებაში, დიდი რაოდენობით სახელმწიფო ქონების დატაცებაში, და სხვ. უმსგავსობა. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ზვიად გამსახურდია იძულებული იყო იჯევანში გამოეცხადებინა შიმშილობა, რადგან ისეთ ბრალდებებს უყენებდნენ, სამარცხვინო იყო მთელი ჩვენი საგვარეულოსათვის. ჩვენ ბრალად გვედებოდა ორმოცი კილოგრამი ოქროსა და შვიდასი მილიონი მანეთის გატაცება, სომხეთის სამართალდამცავი ორგანოების პასუხისმგებელმა პირებმა ჩაგვიტარეს ჩხრეკა, რომელშიც მონაწილეობდნენ სომხეთის შინაგან საქმეთა მინისტრი, მისი მოადგილე, უშიშროების მინისტრი და იჯევანის აღმასკომის თავმჯდომარე, რის საფუძველზეც შეიქმნა ოქმი, რომელიც დათარიღებულია 13.01.92წ.-ით.

დღეს პირველად წარმოვადგენ ამ დოკუმენტს. ეს გახლავთ ჩხრეკის ოქმი, სადაც დაფიქსირებულია, რომ ჩვენ არავითარი ძვირფასეულობა და ფული არ აღმოგვაჩნდა. რაც შეეხება იჯევანს, ვიყავით საშინელ პირობებში. არ გვქონდა არავითარი საარსებო საშუალება, მშივრები და გაყინულები. ზვიადმა მკითხა: "მანანა, შემთხვევით ფული ხომ არ გაქვს?" არაფერი მქონდა, მე ხომ სახლი ისე დამატოვებინეს, რომ ხელჩანთაც არ ამიღია, ვინაიდან არ მიმხელდნენ, რომ კოლხური კოშკიდან კი არა, საქართველოდანაც გვაძევებდნენ. ზვიადმა მითხრა: "ჯიბეში მხოლოდ ოცდახუთი მანეთი მაქვს, ბავშვებს რა ვაჭამოთ?" ჩხრეკის ოქმში აღნიშნულია, რომ პირადი ნივთებიც არ აღმოგვაჩნდა. ვისხედით გაყინულ ოთახში. პანსიონატს გარს ერტყა ექვსი ჯაჭვი სუკის თანამშრომლებისა, შსს, სამხედროების, სპეცსამსახურების, "ბოევიკების", რათა მოსახლეობას ან ჟურნალისტებს არ შემოეღწიათ ჩვენს მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე და არ გახმაურებულიყო ჩვენი მდგომარეობა.

რაც შეეხება ზვიადის მუხანათურ მკვლელობას:

მე ბრალად მდებდნენ თითქოს არ მივეცი ექსპერტიზის ჩატარების უფლება. ორმოცდარვა დღის განმავლობაში მათ ხელთ ჰყავდათ ზვიად გამსახურდია, რომლის მიმართ იყენებდნენ თერმული, ფიზიკური, ქიმიური და მედიკამენტური დამუშავების მეთოდებს. ორმოცდარვა დღე კი არა, რამდენიმე წუთი სჭირდებოდა იმის დადგენას, თუ შემავალ ტყვიას რა დახრის კუთხე ჰქონდა, ტყვიის შესვლის და გამოსვლის წერტილის დაფიქსირებას. ეს გახლდათ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის მთავარი და ძირითადი არსი. ასე რომ, ზვიად გამსახურდია ორმოცდარვა დღის განმავლობაში როგორც უნდოდათ და რამდენჯერაც უნდოდათ ამოიღეს საფლავიდან და ზემოთჩამოთვლილი მეთოდებიდან ყველაფერი გამოიყენეს. ამიტომ, თუ კიდევ მოვისმენ მათი ბაგიდან მსგავს განცხადებას, ისინი საკადრის პასუხს მიიღებენ. ზვიად გამსახურდიას ფართომასშტაბიანი ექსპერტიზა არ სჭირდებოდა.

დღეს პრეზიდენტის ოჯახი იმყოფება დევნილობაში. დავდივართ უსახლკაროდ, დამწვარი და გაძარცვულია კოშკი, იქ ცხოვრება შეუძლებელია. ათი წლის განმავლობაში წართმეული გვაქვს ადამიანის ელემენტარული უფლებები. ამასთან, ადგილი აქვს უდიდეს ზეწოლას; არსებული მდგომარეობის გამო ახლო ხანში გავაკეთებ განცხადებას პრესისათვის და საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი. შევარდნაძე ჩემგან მოითხოვს ხელმოწერას დოკუმენტზე, რომელზედაც მე უნდა დავუდასტურო, რომ აღმიდგინონ "კოლხური კოშკი", დამიბრუნონ წართმეული ნივთები და ა.შ. სანამ ცოცხალი ვარ, მსგავსი დოკუმენტი არ შეიქმნება. მე ასე ვუპასუხებდი: ხელი მოვუწერე, როდესაც გამაძევეს საქართველოდან? როდესაც პუტჩი დაიწყეს საქართველოში? როდესაც პრეზიდენტს ტყვია ესროლეს?! როდესაც არბევდნენ კოშკის საფლავებს?! როდესაც გამიყიდეს კონსტანტინე და მირანდა გამსახურდიების მშობლების საფლავები?! როდესაც საქართველოს ტერიტორიები გაასხვისეს?! როდესაც კოლხური კოშკი გაძარცვეს და გადაწვეს?! როდესაც მოპასუხეს არ მინიშნავენ კოშკის გაძარცვასა და გადაწვასთან დაკავშირებით და კანონის ამოქმედებას 2005 წლისთვის რომ აპირებენ?!

ჩემი დღევანდელი გამოსვლა ემოციური იყო, მაგრამ არ შემეძლო ემოციის გარეშე საუბარი. ალბათ, რკინისა უნდა ვიყო, რომ ათი წლის მანძილზე განცდილ საშინელებებზე (როდესაც წუთიერი წყვეტა არ მქონია) უემოციოდ შევძლო საუბარი.

კონფერენციის მონაწილეებს თუ აქვთ სურვილი, ვთხოვ გამოხატონ საკუთარი პოზიცია, რათა უკეთ გავიცნოთ ერთმანეთი, უკეთ წარვმართოთ თანამშრომლობა.

ვუსურვოთ საქართველოს გაბრწყინება. დაე, ხვალინდელი დღე 6 იანვარი, რომელიც ტრაგიკული და დაუვიწყარი დღეა ჩემთვის, გაბრწყინებულიყოს. ვუსურვებ ყველა თქვენთაგანს ბედნიერებას, ჯანმრთელობას და საქართველოს გამარჯვებას!



* * *

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ქალბატონ მანანა არჩვაძე-გამსახურდიას გამოსვლის შემდგომ სიტყვით გამოვიდნენ, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვიქტორ ფხალაძე; საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები და დეპუტატები: ალექსანდრე ჟღენტი, ნათელა ქუთელია, შუქრი აბზიანიძე, ტარიელ ფუტკარაძე, ჯემალ იონათამიშვილი, ბიმურზა აფრასიძე, თენგიზ კუბლაშვილი, ალეკო ვარძელაშვილი, მიხეილ მაყაშვილი, გურამ მაქაცარია, აკაკი მათიაშვილი, დავით ტაბიძე, ვლადიმერ ცოფურაშვილი, თამაზ ყურაშვილი.

მოწვეული სტუმრებიდან სიტყვით გამოვიდნენ: ბ-ნი ირაკლი გოცირიძე, ქ-ნი ია ბაგრატიონ-მუხრანელი, ბ-ნი გიორგი გაჩეჩილაძე, ბ-ნი იგორ ჩხეიძე, ბ-ნი ჯემალ გამახარია, ბ-ნი გურამ შარაძე, ბ-ნი ჯონდი ბაღათურია, ბ-ნი გიორგი თევზაძე, ბ-ნი ვლადიუს რამიშვილი, ბ-ნი ავთანდილ ჩიტაძე.

დაე, ეს შეხვედრა საწინდარი ყოფილიყოს საქართველოში კანონიერი ხელისუფლების აღდგენისა, საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაბრუნებისა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა.

კონფერენციაზე მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელსაც დამსწრე საზოგადოებამ ერთსულოვნად დუჭირა მხარი. რეზოლუციის ტექსტს აქვე ვბეჭდავთ:

## რეზოლუცია

1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიულ, დემოკრატიულ არჩევნებში გაიმარჯვა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, საარჩევნო ბლოკმა _ "მრგვალი მაგიდა თავისუფალი საქართველო"_ ზვიად გამსახურდის ხელმძღვანელობით.

1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი, რის შედეგადაც 1991 წლის 27 აგვისტოდან დღემდე საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა სცნო 59-მა სახელმწიფომ, და საქართველო, როგორც სუვერენული სახელმწიფო, გაერთიანდა გაეროში, ევროსაბჭოში, გახდა საერთაშორისო სამართლის სრულუფლებიანი სუბიექტი.

ეროვნულ_სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის საფუძველზე შეიქმნა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის სამართლებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური საფუძვლები; პრესისა და მასობრივი საინფორმაციო სხვა საშუალებების შესახებ კანონის მიღებით ჩამოყალიბდა თავისუფალი მასმედია, საქართველოს დამოუკიდებელმა სახელმწიფომ აღიარა საერთაშორისო სამართლის პრიმატი საქართველოს კანონებთან მიმართებაში. –

საქართველოს სუვერენული, ერთიანი, დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბება არ შედიოდა იმპერიების სახელმწიფოებრივ ინტერესებში და 1921 წლის ანალოგიურად, 1991-93 წლებში სსრკ-ს (რუსეთის) საოკუპაციო სამხედრო ძალების (ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სპეცსამსახურების, შავი ზღვის სამხედრო-საზღვაო ფლოტის, როსტოვის ოლქის სპეცსამსახურების, ძერჟინსკის სახელობის დივიზიის, ავღანეთში ნაბრძოლი 345-ე საპაერო-სადესანტო პოლკის...), ადგილობრივი ნეოკომუნისტების, ფსევდოეროვნული და კრიმინალური ძალების გამოყენებით განდევნილი იქნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, ს აქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი და მთავრობა, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები. ე.წ. სამხედრო საბჭოს ორკაციანმა "ორგანომ" გაუქმებულად გამოაცხადა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია და საქართველოს რესპუბლიკის 3,6 მილიონი ამომრჩევლის მიერ არჩეული ლეგიტიმური ხელისუფლება. დე-ფაქტო ხელისუფლებამ საერთო-სახალხო რეფერენდუმის შედეგების, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების უგულებელყოფით რუსეთის სამხედრო ძალებს მოუხსნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მინიჭებული 3საოკუპაციო ჯარის სტატუსი4, მეტიც, რუსეთის სამხედრო ძალები 25 წლით "დააკანონა" საქართველოს ტერიტორიაზე, ამავე დროს, სუვერენული სახელმწიფო _ საქართველოს რესპუბლიკა _ შეიყვანა დსთ-ში_ რუსეთის ნეოიმპერიაში.

ე.წ. სამხედრო საბჭოს "სამართალმემკვიდრე" დე ფაქტო ხელისუფლების ათწლიანი "მმართველობის" შედეგია რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთის და ყოფილი სამხრეთი ოსეთის ოკუპაცია-ანექსია, საქართველოს ტერიტორიის ნახევარზე სახელმწიფო იურისდიქციის გაუვრცელებლობა, ქვეყანაში გაბატონებული კლანების თარეში, ტერორი, 1993 წლის 31 დეკემბერს ტერორისა და ძალადობის შედეგად საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსხურდიას სიცოცხლის ხელყოფა, კორუფცია, საზოგადობრივ-პოლიტიკური, საფინანსო-ეკონომიკური ქაოსი, სახელმწიფო სტრუქტურებისა და წარმოება-დაწესებულებების ნგრევა, სტრატეგიული ობიექტების გასხვისება, მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის უმუშევრობა და გალატაკება, სოციალური დაუცველობა, ასიათსობით მოქალაქის დევნილობა, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის ნორმების სისტემატური და უხეში დარღვევები.

ათი წელია საქართვლოს რესპუბლიკაში ფაქტობრივი ორხელისუფლებიანობაა; პარალელურად არსებობს არალეგიტიმური ფაქტობრივი ხელისუფლება და ლეგიტიმური ხელისუფლება _ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და მთავრობა. ეს უკანასკნელი ფუნქციონირებს ქ. თბილისში, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია იურიდიულად მოქმედებს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და სამართლებრივად საქართველოს რესპუბლიკა ერთიანი და განუყოფელია.

საქართველოს რესპუბლიკაში დ ღეს არსებული კატასტროფული ვითარებიდან გამოსავლად მიგვაჩნია დეიურე ხელისუფლების ყველა პოლიტიკურ ძალასა და დე-ფაქტო ხელისუფლებასთან დიალოგის გზით, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამართალმემკვიდრეობის საფუძველზე მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნების ჩატარება. არჩევნები უნდა ჩატარდეს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის საფუძველზე, პარიტეტის პრინციპით დაკომპლექტებული საარჩევნო კომისიის მიერ.

1991-93 წლების სამხედრო, სახელმწიფო გადატრიალებისადმი მიძღვნილი კონფერენციის მონაწილეებს მიგვაჩნია, რომ ათი წლის წინ საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობისათვის წართმეული სიცოცხლისა და თავისუფალი არჩევნების უფლების (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მესამე და ოცდამეერთე მუხლების დარღვევა) აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ კონსტიტუციური უწყვეტობის საფუძველზე ჩატარებული საყოველთაო, მრავალპარტიული დემოკრატიული არჩევნების ჩატარებით.

რეზოლუცია გაეგზავნოს გაეროს, ევროსაბჭოს, ეუთოს, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებს, დე ფაქტო ხელისუფლებას.

თბილისი. 2002.05.01

მასალა მოამზადა

ირაკლი შონია

## ინტერვიუ პოლიტიკურ ოპონენტთან

# ჯონდი ბაღათურია: საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდისაგან წამოსული საყოველთაო შერიგების ლოზუნგი მიზანმიმართულად იყო მიჩქმალული

*- ბ-ნო ჯონდი, თქვენ ამა წლის 5 იანვარს ესწრებოდით ომბუცმენის ოფისში კონფერენციას, რომლის ძირითად პირთვს კანონიერი ხელისუფლების დეპუტატები და მრგვალი მაგიდა წარმოადგენდნენ, როგორი შთაბეჭდილებებით წამოხვედით?*

- შთაბეჭდილება უაღრესად დადებითი იყო, მოდი გულწრფელად ვილაპარაკოთ, ძალიან ვღელავდი, ჯერ როცა მივდიოდი მაშინაც, მე პირველად ვიყავი მათთან (ვგულისხმობ ზვიად გამსახურდიას მომხრეებს) სტუმრად და ბუნებრივია ვღელავდი. ჩემს მიმართ, სტუმრის მიმართ, უპირველესად ვიგრძენი დიდი პატივისცემა, ძალიან დიდი კონსტრუქციულობა და კეთილშობილება არა მარტო ჩემდამი, არამედ სხვა სტუმრების მიმართაც.

ვიცი, რომ არიან პიროვნებები, რომლებიც ქალბატონ მანანას ძალიან ემოციურ ადამიანად აღიქვამენ. სწორედ ამ „მშვიდ" ხალხს მინდა ვუთხრა, ერთი წუთით მაინც წარმოიდგინონ თავი ქალბატონი მანანას ადგილზე, მისდამი ამდენი დევნა, ამდენი შური, ბოროტება, დაცინვა, ამდენი შეურაცხყოფა, ოჯახის დაკარგვა და ბოლოს ყველაფრის დაკარგვა მაშინ, როდესაც სიმართლე მის მხარეზეა და ეს სიმართლე დღესდღეობით ჩახშობილია. მიდი და ნორმალური ადამიანი არ იყავი ემოციური - ეს ბუნებრივია. წარმოიდგინეთ, პირადად მე, ელემენტარულ საკითხებზე ვერ ვფარავ ემოციას და ქალბატონი მანანა როგორ არ იყოს ემოციური, როცა მის თავზე მთელმა რიგმა ტრაგედიებმა გადაიარა.

ყველაზე მთავარი, რაც მე პრესკონფერენციაზე მოვისმინე არის ის, რომ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე ერთმანეთს მივუტევოთ ცოდვები. მე ვგულისხმობ, ქართველებმა ვაპატიოთ ერთმანეთს და არა ქვეყნის მტრებს ვაპატიოთ. როცა ასეთი ნაბიჯი მოდის იმ პიროვნებებისაგან, რომლებმაც ოჯახები და თავიანთი კეთილდღეობა გაწირეს 10 წლის მანძილზე, თავი მიუძღვნეს ეროვნულ იდეებს, ემოციურობის დაბრალება მათზე, მე მგონი, რბილად რომ ვთქვათ, არაკაცობაა და სხვა არაფერი.

*- თქვენი მისვლა იქ, მარტო კონფერენციით შემოიფარგლება, თუ მომავალშიც აპირებთ მრგვალ მაგიდასთან თანამშრომლობას?*

- ჩემი სურვილი იქნება ეს მომავალშიც გაგრძელდეს. პირდაპირ გეტყვით, რომ ისინი, რომლებიც „ყავაზე მარჩიელობენ", კონფერენციაზე წამოსვლამდე მირეკავდნენ და მეუბნებოდნენ, როგორ არ მრცხვენია, რომ იქ მივდივარ და ასე შემდეგ. მიკვირს, მე თუ რაიმე სასირცხვილოს ვაკეთებდი, ეს ხალხი რატომ ნერვიულობდა ჩემს მაგიერ. კიდევ ვიმეორებ, ჩემი სურვილია, თანამშრომლობა გაგრძელდეს...

*- ბ-ნო ჯონდი, რა მხრივ შეიძლება თქვენი და ჩვენი თანამშრომლობა გაგრძელდეს?*

- მე მინდა, საყოველთაო ეროვნული შერიგების მონაწილე გავხდე, კარგად გამიგეთ, შერიგების და არა გარიგების - ვგულისხმობ ე.წ. გარიგებას. სურვილი მაქვს, რომ ქართული საზოგადოება გაერთიანდეს. საკმაო გამოცდილების პოლიტიკოსი ვარ და ვხედავ, რომ დღეს გაერთიანების გარდა ჩვენს ქვეყანას სხვა გზა არა აქვს. იმ ადამიანებმა, რომელთაც პირადი ამბიციები აწუხებთ, გვერდზე უნდა გადადონ ვიწრო პარტიული ინტერესები, თუნდაც სამართლიანი რისხვა, ისევე, როგორც გადადო პირადული ტკივილები ქალბატონმა მანანამ და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ. სხვათა შორის, მათგან წამოსული გაერთიანების ეს უმთავრესი ლოზუნგი არსად არ იყო გაშუქებული.

*- ამას მოსყიდული ჟურნალისტები არც გააშუქებდნენ...*

- რასაკვირველია, მათ აწყობთ, რომ კონფერენცია წარმოჩენილიყო, როგორც „რადიკალების", უკომპრომისო ხალხის შეკრება, რომელთაც არავისთან აქვთ ურთიერთობა. ისინი საზოგადოებაში მათ მიმართ შიშის ფაქტორს აღვივებენ. აბა, სხვა რა მიზეზი უნდა იყოს, არ ვიცი, თუმცა ამ ტანჯული ხალხისაგან არც უკომპრომისობა უნდა იყოს გასაკვირი. მაგრამ საქართველოს პოლიტიკურ



პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდისაგან წამოსული საყოველთაო შერიგების ლოზუნგი მიზანმიმართულად იყო მიჩქმალული - ცოტა გადავუხვიე კითხვას და გეტყვით, მე ვისურვებდი, ჩვენი თანამშრომლობა უფრო საქმიან ვითარებაში გადასულიყო და ეს არ ყოფილიყოს მხოლოდ ჯონდი ბაღათურიასა და მრგვალი მაგიდის ერთად ყოფნა.

წავიკითხე მრგვალი მაგიდის მემორანდუმი, რომელსაც მთლიანად ვეთანხმები. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო არსებობს, ამას არ უნდა მტკიცება, ეს ფაქტია, მას მხოლოდ ძალა აკლია, რათა სახელმწიფოებრივი მართვა განახორციელოს. დღეს არის ორხელისუფლებიანობა: დე ფაქტო ხელისუფლება, რომელსაც ჰყავს ფიზიკური შეიარაღებული ძალა და მეორე - ლეგიტიმური უზენაესი საბჭო - მას არა ჰყავს ძალისმიერი სტრუქტურები და ქვეყნის მართვის ინსტრუმენტი მის ხელთ არაა. მემორანდუმში არის უაღრესად კომპრომისული ვარიანტი, ეს შევარდნაძისათვის ერთადერთი გამოსავალი იყო. გარეთ, ფაქტობრივად, რჩება სამი ძირითადი პარტია, ეს არის ედპ, სახალხო და ლეიბორისტები. მემორანდუმში ნათქვამია: მომზადდეს წინასაარჩევნო პირობები - თუ ამის გარეშე ჩვენი გაერთიანება მოხერხდა, ორხელისუფლებიანობა აღარ იქნება. მრგვალი მაგიდა აძლევს მათ შანსს, არჩევნებში მიიღონ მონაწილეობა ე.წ. ხელისუფლებამაც და მრგვალმა მაგიდამაც, მაგრამ საქმე იმაშია, რომ დე ფაქტო ხელისუფლება მრგვალ მაგიდასთან არჩევნებში დამარცხდება, თუ ჩვენ პარიტეტულ საწყისებზე შევქმნით საარჩევნო კანონს და ერთად ვიდგებით.

*- ბ-ნო ჯონდი, თქვენი თანაპარტიელები როგორ შეხვდნენ ყოველივე ამას, ვგულისხმობ, თქვენს დასწრებას კონფერენციაზე?*

- ნორმალურად, თქვენ კი ჩემი მისვლა მხოლოდ გაგიკვირდათ, აგრესია ნამდვილად არ მიგრძნია. დაახლოვება ეროვნულ ძალებთან რომ საჭიროა, ამაზე ყველა თანახმაა. ეროვნული ძალები შეგნებულად ვახსენე, რადგან დღეს ამ ფრაზებით სპეკულაციას ეწევიან გარკვეული ძალები. ერში გაჩენილი ბზარი ჩვენს, პოლიტიკოსების კისერზეა.

*- ბ-ნო ჯონდი, 11 იანვრის გაზეთ „ახალ თაობაში" თქვენი თავმჯდომარე ირინა სარიშვილი აცხადებს, რომ მანანა არჩვაძე მოკლებულია ჩვენთან თანამშრომლობასო. ამას რა კომენტარს გაუკეთებდით?*

- მე არ ვიცი, ქალბატონი მანანა როგორი აზრისაა ამაზე. შეიძლება, მას მართლაც გაუჭირდეს ეს, მაგრამ აქვე მინდა ყველას შევახსენო ის, რომ მის კისერზე წისქვილის ბორბალი არ დატრიალებულა მხოლოდ, თორემ შეიძლება უარესმა საშინელებამაც კი გადაიარა, ამას თავად ირინა სარიშვილიც აღნიშნავს. არავის უნდა გაუკვირდეს, თუ ქალბატონ მანანას ვინმესთან თანამშრომლობა გაუჭირდება, პირიქით, თუ ეს მოხდება, ყველას უნდა გაუხარდეს კიდევაც. აქ კიდევ პრობლემაა შიდა პარტიებში, როგორც ვიცით, აქ შემოგზავნილი აგენტურა მოქმედებს. თუ ასეთი რამ არ მოხდება, მაშინ ე.ი. საფრთხეს არ წარმოადგენს შენი პარტია ხელისუფლებისათვის.

*- მე მინდა, 1991-92 წლების პუტჩზე გკითხოთ. თქვენი აზრით, ეს იყო სამხედრო კრიმინალური გადატრიალება თუ, როგორც „მეამბოხე" ოთხეული აცხადებს, სახალხო აჯანყება და რევოლუცია?*

- რა თქმა უნდა, კრიმინალური პუტჩი იყო, რუსეთის ხელშეწყობით ხელისუფლების დამხობა. მიზეზი ამისა კი ის, რომ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება რუსეთს არ აწყობდა. იგი მისთვის საშიშ ნაბიჯებს დგამდა. ზვიადმა საერთო კავკასიური სახლის იდეა განავითარა. აქ ლაპარაკი იყო კავკასიის ქვეყნების კოლექტიური უსაფრთხოების ზომების მიღებაზე. რაც ერთადერთი შანსია დღესაც ყველა კავკასიური ქვეყნის გადარჩენისათვის. ამიტომაც, დღის წესრიგში დადგა სახელმწიფო გადატრიალება, ამას ხელი შეუწყო საკადრო პოლიტიკამ, ნახეთ, რა ხალხი იყო. როცა პრეზიდენტს დასჭირდა, გვერდით არავინ დაუდგა. კაცი მარტო მაშინ კაცობს, როცა დასჭირდები და გვერდზე დაუდგები, ხოლო ასეთ დროს რომ ქობულეთში დასასვენებლად წახვალ... (იგულისხმება აკ. ასათიანი). თუნდაც ავიღოთ ნემო ბურჭულაძე, ან პეტრიაშვილი - ეს იყო საკადრო შეთქმულება. ზვიად გამსახურდიამ ძალიან კარგად იცოდა, რომ კადრების დეფიციტი მის გარშემო, სწორედ შეთქმულება იყო, ასევე ფაქტია, რომ გარკვეულმა ადამიანებმა, შეგნებულად თუ შეუგნებლად არ ითანამშრომლეს ხელისუფლებასთან - ამან კი გარკვეული ნეგატიური წვლილი შეიტანა გადატრიალების მომზადებაში.

*- 2 სექტემბერზე მინდა, გკითხოთ. სხვათა შორის, ამის შესახებ კონფერენციაზე თქვენ გურამ შარაძემაც წამოგაძახათ... როგორ შეაფასებდით?*

- 2 სექტემბრის შეფასება ჩემთვის ძალიან ადვილია, გამომდინარე იქედან, რომ მაშინ პარტიის წევრი არ ვიყავი. 2 სექტემბრის სროლა იყო პროვოცირებული. სროლა არ ყოფილა არც ხელისუფლებისაგან და არც ედპ-საგან - მე ეს მჯერა. ეს იყო მესამე ძალა, რომელმაც ცეცხლზე ნავთი დაასხა, რათა შემდგომ სხვა მოვლენები განვითარებულიყო. ამას ზვიად გამსახურდია კარგად ხვდებოდა და არ აძლევდა მათ ამის საშუალებას. სხვათა შორის, 2 სექტემბერი ვერ გახდა ხელისუფლების დამხობის მიზეზი.

*- როგორ შეიძლება, დაინიშნოს რიგგარეშე არჩევნები, ის კანონიერმა ხელისუფლებამ უნდა დანიშნოს თუ...?*

- ის რაც მემორანდუმში წერია, მიუღწეველი არ არის. ერთობლივად უნდა მომზადდეს საარჩევნო პირობები. ეს არის იდეალური გამოსავალი ქვეყნისათვის. ლეგიტიმურმა ხელისუფლებამ უნდა დანიშნოს არჩევნები - ეს არის სურვილი, მაგრამ ამაზე ესენი არ წავლენ. პირადად მე ამაზე შეიძლება, დაგეთანხმოთ, მაგრამ ერთობლივად წმინდა პარიტეტული უნდა განხორციელდეს. პროცესის მართვას უზენაესი საბჭო აიღებს თავზე.

*- საპრეზიდენტო არჩევნებზე რას გვეტყოდით, საჭიროა თუ არა საქართველოში იგი?*

- ამასთან დაკავშირებით მე პრინციპული დამოკიდებულება არა მაქვს, მაგრამ ქვეყანას სჭირდება ძლიერი მმართველი, სანამ არ ამოიშანთება კორუფცია, ღალატი და ა.შ. ქვეყანას გადაარჩენს ბალანსის ცვლილება სახელმწიფოში, თორემ დღეს გინდა საპარლამენტო, გინდა საპრეზიდენტო რესპუბლიკა იყოს, ქვეყანა ვერ გადარჩება.

*- რამდენად კანონიერად მიგაჩნიათ დღევანდელი ე.წ. პრეზიდენტი?*

- შევარდნაძე ორჯერ არის არჩეული.

*- თუ თავისი თავი თავად აირჩია?*



აკაკი ასათიანი: „თქვენ გინდათ, თქვათ, რომ გულის ტკივილი მაშინ მოვიმიზეზე? არაფერი უსაშველო მე არ მჭირდა, როგორც კი ჩავედი ქობულეთში, იმ წუთში მომეხსნა ყველაფერი..."
გაზეთი „ალია", №4, 2002

- ეს ცალკე საკითხია, მაგრამ საერთაშორისო ორგანიზაციებმა ის ლეგიტიმურად აღიარეს.

*- კი, მაგრამ როგორ შეიძლება ის ლეგიტიმური იყოს?*

- ეს მე და თქვენ ვიცით, რომ არ არის ლეგიტიმური, საპარლამენტო არჩევნებიც ქაღალდზე ჩატარდა, მხოლოდ ოქმები შედგა, უშუალოდ ვუყურებდი, რაც ხდებოდა. მოქალაქეთა კავშირის წარმომადგენლები მივიდნენ გამგეობაში, ბიულეტენები არავის დაუთვლია, უბრალოდ ოქმები დაწერეს. ასე ჩაატარეს არჩევნები.

*- ე.ი. საპარლამენტო არჩევნები, ისე როგორც საპრეზიდენტო გაყალბებულია?*

- რა თქმა უნდა, ოპოზიცია უბრალოდ გაართეს ბიულეტენების დათვლით.

*- აღიარებთ თუ არა პოლიტპატიმრების არსებობას საქართველოში?*

- ამაზე ორი აზრი არ არსებობს. ვინმე უარყოფს თუ რა?

*- თავად ე.წ. ხელისუფლება...*

- ნამდვილად არიან პოლიტპატიმრები. ისინი იცავდნენ კანონიერ ხელისუფლებას. თუმცა ისეთი პატიმრებიც იყვნენ, რომ არ დაეჭირათ, „დაიწვებოდნენ" (გაიშიფრებოდნენ), კარგადაც კვებავდნენ და ცოტა ადრეც გამოუშვეს, დოკვაძე და გელბახიანი კი დღესაც დაჭერილები არიან და არც შეწყალება არ უნდათ, მიიღონ. რადგან შეწყალება ეს არის კომპრომატი ხელისუფლებისა, იმ შემთხვევაში, თუ გამოშვებული ბევრი რაიმეს უფლებას მისცემს თავის თავს, ხელისუფლება გაახსენებს, რომ ის მის მიერ არის შეწყალებული. პოლიტპატიმრები უპირობოდ უნდა იქნან გათავისუფლებულნი, ყოველგვარი შეწყალების გარეშე.

*- ბ-ნო ჯონდი, რა შეფასებას მისცემდით 2001 წლის შემოდგომაზე განვითარებულ აქციებს მთავრობის სახლთან, რომელსაც მართავდა სულ სხვა ხალხი, მაგრამ სააკაშვილი იქნა წარმოჩენილი?*

- უძაღლო ქვეყანაში კატებს აყეფებდნენო. სააკაშვილი რომ აქციებს უმეთაურებს, იმ ქვეყნის საქმე მართლაც ცუდად არის. თავად შევარდნაძეს უნდოდა თარგამაძის მოცილება და არა სააკაშვილს. შევარდნაძეს არ აწყობს ძლიერი პიროვნებები, თარგამაძე კი ბოლო პერიოდში გაძლიერდა, ამიტომ მოსაცილებელი იყო. შევარდნაძე კი სხვისი ხელით აკეთებს რაც სურს, ამიტომ აამოქმედა სააკაშვილი. დღეს თუ ხვალ ეროვნული ძალები გაერთიანდებიან, ამიტომ შევარდნაძე ცდილობს, ამოხეთქილი ენერგია სათავისოდ გამოიყენოს, ამიტომაც სააკაშვილს როლი შეასრულებინა და რადიკალური ოპოზიციონერის პოზა დააკავებინა. სააკაშვილს ამდენს არავინ გააბედინებდა, მასზე დასაჭერი მასალები დევს, ჯერ მარტო მე მაქვს პროკურატურაში გადაცემული მასალები, რომლითაც შეიძლება ორ საათში მისი დაკავება და როგორც თქვენ ამისთვის რაიმე მსვლელობა არ მიგიციათ, ისე - პროკურატურას. ყველაზე საშიში ამათთვის ჩვენა ვართ. კარგად გამიგეთ, იმ ძალების გაერთიანებას ვგულისხმობ, რომლებმაც არც რუსეთის დაკრულზე უნდა იცეკვონ და არც ამერიკის.

*- ბ-ნო ჯონდი, ვაკის „არჩევნების" დროს თქვენც მოგიწიათ პოლიციასთან „ურთიერთობა". რას გვეტყოდით დღევანდელ პოლიციაზე?*

- სხვათა შორის, არჩევნების დროს პირველად არ მქონია მათთან ასეთი სახის „ურთიერთობა", რიგით პოლიციელებზე არა მაქვს პრეტენზია, ისინი თავის მოვალეობას ასრულებდნენ. მე მახსოვს 9 აპრილს პოლიციელები, რომელნიც დადგნენ ჩვენს გვერდით, მაგრამ თევზი თავიდან ყარს, ყველაფერი იწყება პირველი პირიდან.

*- და ბოლოს, თქვენ იყავით ჩვენს კონფერენციაზე, თქვენ იცით, რომ მრგვალი მაგიდა არა მარტო კონფერენციებით შემოიფარგლება, ხშირად ქუჩის აქციებსაც მიმართავს. შალვა ნათელაშვილმა განაცხადა: ქუჩის აქციებზე აქცენტი არა მაქვსო, პირადად თქვენ რას იზამთ, დადგებით მიტინგებზე მრგვალი მაგიდის გვერდით?*

- დიდი სიამოვნებით, ქუჩაშიც და კაბინეტშიც. მე რაც შემეხება, ვერ დავეთანხმები შალვა ნათელაშვილს. მრგვალი მაგიდა ძალიან მისაღები ფორმის აქციებს მართავს, რომელთაც არნახულად არბევენ და რაც ყველაზე სავალალოა, მასმედიის ზოგიერთი წარმომადგენელი ირონიულად აშუქებს მას. არ მინდა ვინმემ სხვანაირად გამიგოს, მაგრამ უნდა ვთქვა, მრგვალი მაგიდის მომხრეების ცემა თუ შეიძლება, რატომ ჟურნალისტის ცემა არ შეიძლება.

*- მშვიდობიანი მიტინგების სასტიკ დარბევას მასმედიასთან ერთად არც პოლიტიკური პარტიებისაგან მოჰყოლია საპროტესტო გამოხმაურება.*

- გეთანხმებით. გულახდილად გეტყვით, ადრეც გამიჩნია სურვილი გამოხმაურებისა, მაგრამ თქვენც უნდა გისაყვედუროთ, მრგვალი მაგიდა თითქოს კარჩაკეტილ საქმიანობას ეწეოდა, და ვიფიქრე, რაიმე განცხადება რომ გავაკეთო, ისევ თქვენგან არ მივიღო მეთქი საყვედური. მაგრამ რახან დღეს ეს კომპლექსი მოიხსნა, ვიტყოდი, 5 იანვრიდან სურვილი მაქვს, თქვენთან ერთად ქუჩაშიც ვიდგე.

*- გმადლობთ ინტერვიუსათვის.*

- თქვენც დიდი მადლობა.

ესაუბრა ირაკლი შონია

წინასაშობაო დღეებში ჩვენი გაზეთის თანამშრომლები ქუთაისის თოვლიან ქუჩებში გაესაუბრნენ თანამოქალაქეებს. სხვადასხვაგვარი იყო ადამიანთა განწყობილება და ამასთანავე პასუხებიც, მათში იმედი, სევდა, რწმენა და სასოწარკვეთა ერთმანეთს ცვლიდა. დღევანდელ ნომერში ვბეჭდავთ რამდენიმე ქუთაისელის პასუხს კითხვაზე:

**როგორ მომავალ წელს ისურვებდით?**

**ლუიზა მარდალეიშვილი** - არ მინდა, წლევანდელი წელი 1992 წლის შემდგომი წლების მსგავსი იყოს. მახსოვს, ზუსტა ყოველ რელიგიურ დღესასწაულზე რაღაც შემზარავ ფაქტებს გვამცნობდა-ხოლმე; ასე იყო 1992 წლის 7 იანვარს, სწორედ მაშინ გვამცნეს კანონიერი ხელისუფლებისა და პრეზიდენტის განდევნა, არადა 6-ში წავიდნენ; 1994 წლის შობასაც საშინელი ინფორმაცია - ზვიად გამსახურდიას გარდაცვალება გვამცნო საქართველოს ტელევიზიამ, მაგრამ ზვიადი ხომ 1993 წლის 31 დეკემბერს მოკლეს; 1993 წლის 27 სექტემბერს - ჯვართამაღლებას - სოხუმის დაცემა.

მახსოვს 1992 წელს დეკემბერ-იანვარში, როცა თბილისში რუსული ტანკები მთავრობის სახლს უშენდნენ, 6 იანვარს ალილოზეც კი არავინ მოსულა. ის ღამე ლოცვაში გავატარეთ, მეორე დღისთვის ეკლესიაში წასასვლელად ვემზადებოდით სახლში, როდესაც გამთენიისას ვწვებოდი, მამლების შემზარავი ყივილი ატყდა, საშინელი კივილი. მეორე დღეს, შობას უკვე ტელევიზიამ გვამცნო ეროვნული ხელისუფლების „დემოკრატიულით“ შეცვლა. მაშინ სტუდენტი ვიყავი, მთელი სტუდენტობა და ქალაქის უამრავი მოსახლეობა პრეფექტურის შენობის წინ იდგა და საშინელი მღელვარება სუფევდა, გადაულებლად თოვდა და ჩვენს თავზე ტყვიების წვიმაც გადიოდა - თითქოს ყველას შიში დაჰკარგოდა...



1994 წლის 6 იანვარს უკვე პრეზიდენტის გარდაცვალება გვამცნეს. საოცარი შინაგანი შიში დამეუფლა, მაგრამ იქვე „ხავსმოჭიდებულივით“ თავი დავიმშვიდე: არ შეიძლება, ეს მომხდარიყო, სიცრუეა-მეთქი! მეორე დილით ჩემს ირგვლივ თითქმის ასეთივე განცდით იყო ყველა. ხალხის ერთმა ჯგუფმა პარაკლისიც გადაახდევინა მღვდელს ზვიადის სახელზე. 8 იანვარს ინსტიტუტში ვიყავი, იყო მსჯელობა, ცრემლი და ღიმილი. მეგობარი მიყვებოდა: საშობაოდ შუქი არ გვქონდა, რაიმე განსაკუთრებული კერძით ვერ აღვნიშნეთ დღესასწაული, ვერ გავახსნილეთ, ვფიქრობდი, ზვიადი მკვდარი არ იქნება, მაგრამ ვაითუ მართალი იყოს, მისი სულის საოხად ვიმარხულებ-მეთქი.

შიშით საკუთარი განცდა გამახსენდა მეც, შობას ვერაფრით ვჭამე ხორცი, მერე გავიფიქრე არ არის მკვდარი და თანაც ახლა ქრისტეშობაა უდიდესი დღესასწაული და გახსნილებაც აუცილებელია-მეთქი.

უფალს ვთხოვ, ის საშინელი განცდა, ტკივილისაგან სულში რომ ცეცხლი წაგეკიდება, არასოდეს განეცადოს არავის.

მომავალი წელი რწმენის, იმედის და სიყვარულის ზეიმით გამარჯვებისა ყოფილიყოს სრულიად საქართველოსათვის და მთელი კაცობრიობისათვის. ანგელოზთა საშობაო გალობა კურთხევად გადმოსულიყოს დედამიწაზე.

**მარინე ხაჭაპურიძე** - მინდა ბედნიერი ვიყოთ, „ესენი“ წასულიყვნენ და კანონიერება აღმდგარიყოს.

**ლევან ოდილაძე** - ახალი წლისაგან რას ველი? იცით, აქ ცხოვრება შეუძლებელია, აქედან უნდა წავიდე, საზღვარგარეთ მივდივარ.

**სულიკო ლოლაძე** - ეს წელი მინდა ეროვნული სულიერების აღორძინების, კეთილდღეობის, დამოუკიდებლობის სრულყოფისა იყოს.

**ია ერისთავი** - 2002 წელი ისეთი მინდა იყოს, როგორიც 1989-90 წლები. მაშინ ნებისმიერი დაბრკოლების გადასალახავად მზად იყო ქართველი ხალხი, ხალისით, ენთუზიაზმით იყო სავსე. ერთმანეთის სიყვარულით იყო გაჟღენთილი ჰაერი. სიტყვებში - „მრავალ ახალ წელს!“ - დიდი იმედი, დიდი სითბო იგრძნობოდა, თითქოს რაღაც კარგი უნდა მომხდარიყო. 1991 წლის დადგომა ხომ უზომოდ გვიხაროდა. ახლა კი... არავის უხარია, უბრალოდ სავალდებულოა ნაძვის ხე გქონდეს სახლში და იდღესასწაულო. მიაქვს კაცს სახლში ნაძვი და იცი, რა გაწამებით აქვს ნაშოვნი ფული, თითქოს მექანიკურად ვაკეთებთ ყველაფერს, ბურუსში ვიმყოფებით.

**ვენერა კირთაძე** - ქართველ ხალხს ვუსურვებდი ბედნიერებას, საზღვარგარეთ მყოფთ - სამშობლოში დაბრუნებას, დაე, თავიანთი ენერგია საქართველოსათვის მოეხმარებინოთ.

*თეა ცირეკიძე,*
*ონისე ბანძელაძე,*
*ლუიზა ხაჭაპურიძე*

## სულით არ დაეცეთ, ქართველნო!

### მკითხველთა წერილების მიმოხილვა

რედაქციაში მრავალი წერილი მოდის. ზოგიერთი მკითხველი თავის გულითად სიყვარულს და პატივისცემას გამოხატავს ჩვენს მიმართ, ზოგიც საკუთარ პრობლემებზე გვესაუბრება და დახმარებას გვთხოვს, ზოგი კი საქართველოში შექმნილ სიტუაციაზე მსჯელობს და გამოსავალს ეძებს.

ჩვენი მკითხველი, *ია ჯიშკარიანი* იხსენებს 1992 წლის 6 იანვრის შემზარავ მოვლენას, იმას თუ 7 იანვარს, შობის დღესასწაულს, როგორი „ცინიზმით გვახარა საქართველოს ტელევიზიამ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასა და კანონიერი ხელისუფლების განდევნა და არნახული ზიზღი და გესლი გადმოანთხია“, ამასთანავე გამოთქვამს იმედს, რომ „მომავალი წელი ეროვნული აღმავლისა და სიყვარულის წელი იქნება, ქართველებს ისევე გვეყვარება ერთმანეთი, როგორც მაშინ, 1989-90 წლებში“.

*ლევან პატარაია* გვახსენებს, რომ სამარცხვინოდ გამოგვრეკა საკუთარი სახლებიდან დე ფაქტო ხელისუფლებამ, გვცლიტა და გვაწიოკა“. ამასთანავე მკითხველი იმედოვნებს, რომ „აღდგება კანონიერი ხელისუფლება, ურთიერთგაუტანლობასა და შუღლს მოეღება ბოლო“.

ქალაქ წყალტუბოში მცხოვრები *ვენერა მარდალეიშვილი* გვწერს იმ მძიმე ეკონომიკურ პირობებზე, რომელშიც ხალხი აღმოჩნდა. „ჩემი პენსია 15 ლარს არ აღწევს, - წერს იგი, - როგორ ვარჩინო ამ ფულით ჩემს კმაყოფაზე მყოფი არასრულწლოვანი ქალიშვილი? ჩემისთანა ასეულ ათასობით გასაცოდავებული ადამიანი შიმშილით ამოხოცვის საშიშროების წინაშე დგას“.

*ვანო სამანიშვილი* გამოეხმაურა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებული დეკემბერ-იანვრის მოვლენებისადმი მიძღვნილ წერილებს: „გადატრიალებამ ისედაც მოშლილი ეკონომიკა ნგრევის პირას მიიყვანა, დაეცა ზნეობა და კულტურა, დამკვიდრდა ერთმანეთისადმი მტრობა, გაუტანლობა, ფარისევლობა, უნდობლობა და ამას ყველაფერს ბოლო არ უჩანს“, თვლის იგი.



*ნინო ლელაძეს* კი მიაჩნია, რომ შექმნილმა უმძიმესმა ეკონომიკურმა და ფსიქოლოგიურმა მდგომარეობამ გამოიწვია ჩვენი მოსახლეობის მასობრივი ემიგრაცია.

გასული 2001 წელი არაფრით განსხვავდება 1992 წლის შემდგომი წლებისაგან, ისევ სიცრუე და სიყალბეა გამეფებული. რა მოუტანა მან ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ერს? - კითხულობს იგი და თვითონვე პასუხობს: „სიღარიბე, უზნეობა, მრავალი ადამიანის შეურაცხყოფა, თუმცა ადამიანები თავად ქმნიან ცხოვრებას და თუ რაიმე გვჭირს, ისევ ჩვენივე თავის გამოისობით“ - თვლის ჩვენი მკითხველი.

*გიორგი ბენიძე* (ლტოლვილი) სოფელ თავისუფლებიდან გვიზიარებს თავის შთაბეჭდილებას, დარდსა და წუხილს საქართველოში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით. იხსენებს აფხაზეთში დატრიალებულ ტრაგედიას და ამბობს: ჩვენ აფხაზეთიდან, ჩვენი კუთხიდან იმისთვის გამოგვყარეს, რომ ეროვნული კანონიერი მთავრობის მომხრეები ვიყავით, მართლები ვიყავით.

შობა-ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით ჩვენი მკითხველები - თეა სულაბერიძე, ლევან ძალუაშვილი, ზურაბ ცხვირაშვილი და სხვა ულოცავენ გაზეთ „ქუჯის“ თანამშრომლებს, მთავარ რედაქტორს ტარიელ ფუტკარაძეს და მთელ ქართველ ერს ამ დღესასწაულს, წარმატებებს და ბედნიერებას გვისურვებენ.

დიდი მადლობა ყველას გულწრფელი მოლოცვისათვის! ვუსურვოთ ერთმანეთს, რომ შობა-ახალი წელი იყოს ჩვენი მრავალტანჯული ხალხისთვის ფეხბედნიერი, სიხარულის, ურთიერთსიყვარულის მომტანი.

სულით არ დაეცეთ, ქართველებო!

*ლელა ხაჭაპურიძე*

## „ქუჯის“ ფოსტა

## როცა საძირკველი მორყეულია

პატივცემულო რედაქციავ, დიდ ტკივილებს გულში ვერ ვიტევ და მოგმართავთ თქვენ, როგორც ჩემთვის ყველაზე სანდო და უკვე საყვარელი გაზეთის შემქმნელ კოლექტივს.

პედაგოგთა იმ მრავალრიცხოვან არმიას ვეკუთვნი, ვინც წლების მანძილზე უანგაროდ ემსახურა ახალგაზრდობის აღზდის საქმეს, დღეს კი სხვადასხვა ჯურის მაქინატორთა მეცადინეობით და ჩვენი „ღირსეული“ ხელისუფლების ხელდასმით ჩვენთვის სკოლის კარი დახურული აღმოჩნდა. მაინც მაქვს საშუალება თვალი ვადევნო სასწავლო პროცესებს და გული ვარამით მევსება. რა განუკითხაობაა, რა უთავბოლობა, რა ახალ-ახალი „ვერსიები“ და პროგრამები. არა ერთიანი, გააზრებული სისტემა, არამედ მავანთა და მავანთა „ნოვატორული“ ახირებანი. ნუთუ სასწავლო პროცესი ისე უნდა მიმდინარეობდეს, ვისაც როგორ მოეპრიანება? ნუთითაც არ იფიქროთ, განაწყენებული კაცის პოზიციიდან ვლაპარაკობდე. ნეტა საქმე იყოს კარგად და ჩემი თავი ჩვენი ახალგაზრდების სანაცვლო იყოს, მაგრამ ასე რომ არ არის? მიშვებულობამ და თავნებობამ უკვე ნაყოფიც გამოიღო. მოზარდების ფსიქიკაზე გამანადგურებლად მოქმედებს გამეფებული უწესრიგობა, ყოველგვარი უცხოურისადმი ლტოლვა, „მსოფლიო ენების“ კულტი თუ გარყვნილების აშკარა პროპაგანდა. ყველასათვის ნათელია, როგორ „უწყობს“ ეს ხელს ეროვნული თვითშეგნების დანერგვას, საუკუნეებით ნაწრთობი ტრადიციების დაცვას, რის გარეშეც აუცილებლად დადგება პატარა ერების ყოფნა-არყოფნის საკითხი.



სკოლიდან ესტაფეტა ინსტიტუტ-უნივერსიტეტების ხელში გადადის, სადაც ყველაფერი თითქოსდა საგანგებოდ ისეა მოწყობილი, რომ სწორედ უვიცმა იგრძნოს თავი მშვენივრად, მოტყუებული მშობლების უკანასკნელი კაპიკები კი ვერ ვიტყვით, მიზნობრივად იხარჯებოდეს.

ახალგაზრდობის დარაზმვამ მთავრობის სასახლის წინ გულში იმედი ჩამისახა, მაგრამ ვაი, რომ ყველანი მწარედ მოვტყუვდით. რა ნაყოფი გამოიღო ვირეშმაკურად მოფიქრებულმა მინისტრების განთავისუფლებამ? მათი უმრავლესობა კვლავ ადგილზეა - განისაჯნენ არა იმის მიხედვით, თუ ვინ რას აკეთებდა, არამედ ვინ უფრო ეხატებოდა გულზე მთავარ „შეფს“.

არავის ეგონოს, პირადად განათლების მინისტრის, კარტოზიას საწინააღმდეგო მქონდეს რამე. არც ისე გულუბრყვილო ვარ, ვიფქრო, მისი წასვლით ყველაფერი გამოსწორდებოდა (ისე კი ნამდვილი პატრიოტი და ქვეყნის გულშემატკივარი თავად იტყოდა უარს მისთვის შეუფერებელ პოსტზე). იმართება კი დღეს ჩვენთან განათლების საქმე? ალბათ, ისევე, როგორც დანარჩენი სფეროები. როცა საძირკველმორყეული სახლი ფამფალებს, ბოძის შეყუდება კი არა, დანგრევა და ახლის აშენებაა საჭირო.

ჩემო საყვარელო ახალგაზრდებო, თქვენ დიდი მისია გაკისრიათ, წყალობას „ზემოდან“ არავინ გამოიმეტებს, თქვენ უნდა გაარჩიოთ მტყუან-მართალი და სათანადო განაჩენიც გამოიტანოთ.

*დავით მესხაძე*

## რით ვეგებებით?..

ბატონო რედაქტორო, პირველ რიგში მინდა წარმატებები გისურვოთ პირადად თქვენ და თქვენს გაზეთს დემოკრატიის, სიმართლისა და ადამიანის უფლებების დაცვისათვის ბრძოლის კეთილშობილურ საქმეში. არასოდეს გადაგეხვიოთ დასახული მიზნისაკენ მიმავალი გზიდან. ღმერთი იყოს თქვენი შემწე და მფარველი.

მსურს, ჩემი აზრიც მოგახსენოთ, თუ, რა თქმა უნდა, მას აქვს არსებითი მნიშვნელობა ჩვენი დღევანდელი ცხოვრებისათვის.

მოვიდა შობის დღესასწაული, ახალი წელი და სამწუხაროდ, მას ერთმანეთთან კინკლაობით, მტრობით, შურითა და მუქარით ვეგებებით. ყოველივე ამას ჯობდა ერთმანეთს მხარში დავდგომოდით, ერთმანეთის შეცდომები გამოგვესწორებინა, კანონიერი ხელისუფლების მოწოდებისთვის გვეგდო ყური... სამწუხაროდ, ეს არ მოხდა. მოხდა ის, რაც დღეს ხდება!

მიმაჩნია, რომ ყოველივე ამის მიზეზი და სათავე 1991-92 წლების სახელმწიფო გადა-ტრიალებაა. და იმის თქმა, რომ ეს იყო დემოკრატიული რევოლუცია, მტკნარი სიცრუეა. ღმერთმა ქნას, რომ ახლანდელი შობა-ახალი წელი მაინც იყოს მშვიდობიანი და მშვიდობის მომტანი. ვიმედოვნებთ!

პატივისცემით

*ელდარ ფირხაძე*

## ჩვენი რწმენა



ყრმა იესო ქალწულ მარიამისაგან იშვა ქალაქ ბეთლემში. ის დედამ შეჰხვია ჩვრებში და ჩააწვინა ბაგაში. აქედან ჩანს, რომ იესო ქრისტეს შობა მოხდა ღარიბულ მოწყობილობაში - მღვიმეში, რადგან ბეთლემის სასტუმრო სახლში მათთვის ადგილი არ აღმოჩნდა.

სწორედ, ამ ყოვლად მოუწყობელ გარემოში იშვა ღმერთკაცი, მაცხოვარი ქვეყნისა. სიღარიბე, შეურაცხყოფა და შევიწროება აკვნიდანვე სდევდა იესო ქრისტეს.

უფლის განკაცება იყო საკვირველი, კაცთა გონებისათვის მიუწვდომელი საიდუმლო. წმიდა კირილე იერუსალიმელი ბრძანებს: „განკაცება აღსრულდა არა მოჩვენებითად, არა ოცნებაში, არამედ სინამდვილეში. მან გაიარა ქალწულში არა ვითარცა მილში, არამედ ჭეშმარიტად განხორციელდა მისგან, ჭეშმარიტად იკვებებოდა მისგან რძით, ჩვენს მსგავსად ნამდვილად ჭამდა და ჩვენს მსგავსად ნამდვილად სვამდა, რადგანაც თუ განკაცება იყო მოჩვენებითი, მაშინ ცხონებაც მოჩვენებითი იქნება".

ამ დროს იერუსალიმი და წარმართული მსოფლიო ჩაფლული იყო ღრმა ძილში. არავინ იცოდა, რომ აღსრულდა უდიდესი და უბედნიერესი მოვლენა, არავინ მიიჩქაროდა, რათა თაყვანი ეცა ახალშობილი მაცხოვრისათვის. მაგრამ ეძინა არა ყველას: ბეთლემის ერთ ხეობაში მწყემსები იყვნენ ღამის გასათევად. ისინი ცხვარს სდარაჯობდნენ. მათ იხილეს ანგელოზთა დიდძალი მხედრობა, რომელსაც გაოცებით შესცქეროდნენ. როცა ანგელოზთა გუნდი კვლავ ზეცად ავიდა, ბეთლემისკენ გაეშურნენ და იხილეს ბაგაში მწოლიარე ყრმა, რომელსაც მოკრძალებით თაყვანი სცეს.

გარდა მწყემსებისა, ქრისტეს შობა აღმოსავლეთელ მოგვებსაც (ვარსკვლავთმრიცხველებს) ეხარათ კაშკაშა ვარსკვლავის გამოცხადებით. ეს ვარსკვლავი უძღოდა მოგვებს მაცხოვრისაკენ. ისინი ეახლნენ ახალშობილს, თაყვანი სცეს და შესწირეს ძღვენი: ოქრო, მური და გუნდრუკი. ოქრო - როგორც მეფეს, მური - როგორც ადამიანს (მიცვალებულებს მურით ასუნნელებდნენ), გუნდრუკი - როგორც ღმერთს.

წმიდა ეფრემ ასური, IV საუკუნის საეკლესიო მოღვაწე, შობაზე საუბრისას ამბობს: „გამოანათა მოწყალებამ და დიდმა დღემ სიხარულისამ. ნურავინ იქნება მოწყენილი და ძვირისმოხსენე. ეს არის დღე, როცა უფალმა თავი დაიმდაბლა და განკაცდა ჩვენივე ხსნისათვის. დაე, ნუ ეთაკილება ამიერიდან მართალს ცოდვილთან საუბარი, მდიდარს - ღარიბთან ერთად ტრაპეზის გაყოფა".

იესო ქრისტეს შობა არის უდიდესი დღესასწაული. როგორც არქიმანდრიტი იოანე (კრესტიანკინი) ბრძანებს: „ქრისტეს იყვარულს სიყვარულითვე ვუპასუხოთ, ავიღოთ ქრისტეს უღელი და მოთმინებით ვატაროთ იგი ჩვენი სიცოცხლის ბოლომდე".

*მასალა მოამზადა თეა ცირეკიძემ*
*მამა ლაზარეს (კანდელაკი) ლოცვა-კურთხევით*

---

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და მთავრობა იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს ეროვნული ხსნის მოძრაობა - წინააღმდეგობის ფრონტის წევრი, საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის წევრი, საუნივერსიტეტო საზოგადოების სათათბიროს წევრი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

**იოსებ (სოსო) ივანეს ძე საყვარელიძე**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდა იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს ეროვნული ხსნის მოძრაობა - წინააღმდეგობის ფრონტის წევრი, საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის წევრი, საუნივერსიტეტო საზოგადოების სათათბიროს წევრი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

**იოსებ (სოსო) ივანეს ძე საყვარელიძე**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს ეროვნული ხსნის მოძრაობა – წინააღმდეგობის ფრონტი იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე ორგანიზაციის წევრი, საუნივერსიტეტო საზოგადოების სათათბიროს წევრი, საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის წევრი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

**იოსებ (სოსო) ივანეს ძე საყვარელიძე**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს ეროვნული ფრონტი - რადიკალური კავშირი თანაუგრძნობს ამავე კავშირის წევრებს ლუიზა ცერცვაძეს და მირიან ფილიაშვილს მამისა და სიმამრის

**კონსტანტინე კონსტანტინეს ძე ცერცვაძის**

გარდაცვალების გამო.

---

გაზეთ „ქუჯის" რედაქცია და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ჩვენი სამშობლოს დიდი პატრიოტი, ცნობილი მეცნიერი, პროფესორი

**ნიბლია უგრეხელიძე**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

## წარსული დასავიწყებლად არ გაიმეტოთ!

ცნობილია, თუ გსურს ადამიანი გადააგვარო, უნდა დაავიწყო თავისი ისტორია.

სამწუხაროდ, დღესაც სურთ, წაგვართვან წარსული, მაგრამ შეუძლებელია იმის დავიწყება, რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების...

დღეს საზოგადოების ნაწილს დავიწყებული აქვს წარსული, არ იცის უახლესი ისტორიაც. ვინ უნდა უთხრას მათ სიმართლე, თუ არა ჩვენ. ხვალ კი, ისევ შენი კალმის იმედი გვაქვს მემატიანევ...

თუ წარსულს არ გავითავისებდით, დაქცეულ სისხლს გულგრილად გადავრეცხავთ წყლით, აწმყოს ვერ შევქმნით.

გთავაზობთ 10 წლის წინანდელ და დღევანდელ მონოლოგთა თუ დიალოგთა რამდენიმე ფრაგმენტს:

**1990 წელი**

- ოღონდ საქართველომ გაიხაროს და ჩემს თავს არ დავზოგავ.
- თავისუფლება მანახოს ღმერთმა და ბალახს მოვძოვ.
- 9 აპრილს დაღვრილი სისხლი ტყუილად არ ჩაივლის, თუ საქართველოს დასჭირდება, ჩვენ აქა ვართ.
- ბედნიერები ვართ, ქართველები რომ ვართ: ამდენი მოწამე გვყავს, თუგინდ დღეს.

**1992 წელი**

- დღეს, 6 იანვარს მეტეხის ხიდთან ბიჭები ჩახოცეს, ისინი საქართველოს კანონიერ პრეზიდენტს იცავდნენ... ისინი გმირები არიან...

**2002 წელი**

- უკაცრავად, გახსოვთ 9 აპრილს დაღუპულთა სახელები?
- რა დროს 9 აპრილია, კუჭი შიმშილით მიხმება.

–

- რომელია საქართველოს დამოუკიდებლობის დღე?
- არ ვიცი... 26 მაისი? გამახსენდა?.. 9 აპრილი? არ ვიცი...

–

- 1992 წლის 6 იანვარს მეტეხის ხიდთან ჩახოცილი ბიჭების შესახებ თუ გსმენიათ რამე?
- პირველად მესმის, რატომ მეკითხები?

–

უკაცრავად, 1992 წლის 2 თებერვალს დახვრეტილი მიტინგის შესახებ რა იცით?
- არ მაინტერესებს, რა დროს მაგენია...

...თქვენივე სასიკეთოდ, წარსული დასავიწყებლად არ გაიმეტოთ, ქართველებო!

*ირმა ჩხეიძე*

---

## მკითხველთა საყურადღებოდ!

გაცნობებთ, რომ 2002 წლის თებერვალში გამოდის წიგნი სათაურით „მევადანაშაულებ" (1991-92წწ.). წიგნში მოყვანილია თვითმხილველთა და მონაწილეთა ნაამბობი, მოგონებები, პოლიტპატიმართა და რეპრესირებულთა სიები, ფოტოსურათები და სხვა ფაქტობრივი მასალები, ასევე ნაწყვეტები იმ მხატვრული ნაწარმოებებიდან, რომლებიც ასახავენ საქართველოში 10 წლის წინ მომხდარ სისხლიან გადატრიალებას და მის შედეგებს. წიგნი გამოდის თავადაზნაურთა და მათ თანამდგომთა საკრებულოს ეგიდით.

*სარედაქციო კოლეგიის სახელით ციცი გაბესკირია*

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
ტარიელ ფუტკარაძე

რედაქტორები
მანანა ტაბიძე
ლელა ხაჭაპურიძე

რედაქციის მისამართი:
ქუთაისი, ქუჯრაძის 32
☎ (8 231) 2-16-03; (8 77) 47-69-05
ელ. ფოსტა: kuji@posta.ge
გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/kugi

გაზეთი რეგისტრირებულია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში №12/5/ე-4818

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. გამოქვეყნებულ წერილებში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.